# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან პარასკევი, 5 მაისი 1995 № 23 (161) ფასი 1000 მან ან ფარდი კუპ

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ვითა მესამედ



„მატჩის წინ მცირედი ფსიქოლოგიური უპირატესობა ჩვენ გვქონდა, რადგან ბოლო შეხვედრა მოვიგეთ. მოთელვაზე ორივე გუნდს რომ შევხედე, მივხვდი, ჩვენი უპირატესობა ერთი-ორად გაზრდილიყო. ამიტომაც გამარჯვებაში ეჭვი არც შემპარვია. ბიჭებისთვის არავითარი დავალება არ მიმიცა, ტაქტიკური ვარიანტების გარჩევას აზრი არ ჰქონდა. მოვთხოვე მხოლოდ დაცვის უშეცდომო თამაში, დანარჩენში კი თავისუფლება მივეცი. მოთამაშეებმა გამიმართლეს — ბრძოლაში დაამარცხეს უძლიერესი მეტოქე" — თქვა ჩემპიონის მწვრთნელმა ბესიკ ლიპარტელიანმა თამაშის შემდეგ.

## უეფას თასი

ფინალის პირველი მატჩი
პარმა. 3 მაისი

### პარმა 1:0 იუვენტუსი

პარმა (იტალია): ბუჩი, ბენარივო (8 მუსი), დი კიარა, მინოტი, აპოლონი, ფერნანდო კოუტუ, პინი, დ. ბაჯო, სენსინი, ძოლა (89 ფიორე), ასპრილია.
იუვენტუსი (იტალია): რამპულა, ფუზი (72 დელ პიერო), იარნი, ტაკინარდი, კარერა (46 მაროკი), პაულო სოუზა, დი ლივიო, დეშამი, ვიალი, რ. ბაჯო, რავანელი.
22 062 მაყურებელი

გოლის ავტორი დინო ბაჯო



## მსოფლიოს ჩემპიონატზე

ოთხშაბათს ბერლინს, მსოფლიოს ჩემპიონატზე (4-15 მაისი) გაემგზავრა ხუთი ქართველი მოკრივე: ფოთელი კობა გოგოლაძე (57 კგ), თბილისელი ბესიკ ვარძელაშვილი (63), თელაველი მამუკა ხუტუაშვილი (67), გორელები ილია ტლაშაძე (71) და გიორგი კანდელაკი (91). ხუთეულს ორი მწვრთნელიც ახლავს: ზურაბ გუნია და ავთანდილ შოშიაშვილი.

## იკმარებს კი ერთი გოლი?

ორი იტალიური გრანდის საგაზაფხული ხუთრაუნდიანი სერია ოთხშაბათს პარმის მატჩით დაიწყო. ახლა უეფას თასის მფლობელის ვინაობა ორი კვირის შემდეგ მილანში გაირკვევა.

სტუმართა მწვრთნელ მარჩელო ლიპის დაცვის მარჯვენა ფრთაზე თითქოს პრობლემა უნდა გასჩენოდა — ჩირო ფერარა ორი გაფრთხილების გამო მატჩს სტოვებდა. ამას უკვე მერვე წუთზე ბენარივოს ტრავმა დაემატა: დეშამმა უხეშად ითამაშა, პირველი გაფრთხილებაც დაიმსახურა და თუ ბენარივო საპასუხო შეხვედრამდე შეიძლება მოშუშდეს, ფრანგს ალარაფერი უშველის — ერთი ყვითელი ბარათი მას დორტმუნდში ჰქონდა მიღებული. ამ დროისთვის ანგარიში გახსნილი იყო. მეოთხე წუთზე ძოლამ ჩვეული ჩინებული პასით დინო ბაჯო რამპულასთან პირისპირ გაიყვანა და ამან წინ გამოსულ მეკარეს ბურთი თავზე გადააგდო. შემდეგ ასპრილიამ ორ-სამჯერ შეძლო მეურვის მოტყუება, მაგრამ მერე, ისევე როგორც ძოლა, მჭიდრო მარწუხებში მოექცა — მოედანზე პრესინგი ბატონობდა და მხოლოდ იშვიათად თუ ხერხდებოდა სახიფათო მომენტის შექმნა. სტუმართა პირველი ხეირიანი შეტევა მეოცე წუთზე რავანელიმ ოდნავ უზუსტოდ დასრულა; ათ წუთში მუსის ჩანროდებას ძოლა მისწვდა, მაგრამ მთლად კარგად ვერც ამან მოზომა. ნათელი იყო, ორივე გუნდს საჯარიმო დარტყმების იმედი ჰქონდა, მაგრამ გუშინწინ ვერც რობერტო ბაჯომ ივარგა, ვერც ძოლამ. და თუ პარმელმა მეორე ტაიმში კიდევ ერთი ჩვეული პასი გააზერხა, რობერტოს ისეთი რამეები დაემართა, ბავშვობაში რომ არ აკეთებდა — ერთხელ ბურთი მარცხენა ფეხზე აეჭრა და 30 მეტრით ააცილა მიზანს, მეორედ კი ბურთს ფეხი დააბიჯა და დაეცა. ბუდისტი ანერვიულდა, ესპანელ მსაჯ ლოპეს ნიეტოს არარსებულ ჯარიმებს სთხოვდა, მაგრამ ამას მეტი რაღა უნდა ექნა, წამდაუწუმ უსტვენდა: მასპინძლები 29-ჯერ დააჯარიმა, სტუმრები კი 27-ჯერ. ადვილი მისახვედრია, რომ მატჩში, სადაც წესების 56 დარღვევა დაფიქსირდება (თამაშგარის ჩაუთვლელად), ხეირიანი ბურთაობისთვის ცოტა დროლა რჩება. მეორე ტაიმში სტუმრებმა ორჯერ შეამოწმეს ბუჩი — ამან ჯერ მაროკის შორეული დარტყმა მოიგერია, 64-ე წუთზე კი იარნის ბრიწყინვალე პასის შემდეგ ვიალიმ შვიდიოდე მეტრიდან შეუჩერებლად დაარტყა, მაგრამ ბუჩიმ სასწაული რეაქცია გამოავლინა. ამასობაში რობერტო ბაჯო მიხვდა, რომ იმ დღეს გოლის გატანა არ ეწერა და ბოლო საჯარიმო დარტყმა იარნის ანდო — მცველმა ბურთი კედელს კი ააცილა (რაც ბაჯომ ვერ მოახერხა), მაგრამ კარს მაინც ვერ დაუმიზნა. მოკლედ, ტურინელებმა კარში სულ ოთხჯერ დაარტყეს და მილანის მატჩის იმედად დარჩნენ. იქ მათ მეორე გაფრთხილების გამო ტაკინარდიც მოაკლდებათ. მსაჯმა არც მასპინძლები დაინდო და სტუმრებზე ორჯერ მეტი (აპოლონი, პინი, სენსინი, ძოლა) ყვითელი „აპკიდა".

## ფეხბურთი

### საქართველოს ჩემპიონატი

25-ე ტური, 3 მაისი

მარგვეთი 3:2 ტორპედო
დილა 2:1 კოლხეთი
მეტალურგი 2:2 კახეთი
საპოვნელა 0:0 დურუჯი
ივერია 0:2 დინამო
გურია 0:4 სამტრედია
(სამტრედიაში)
ზუგდიდი 2:1 სამგურალი
შევარდენი 1:1 ბათუმი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამტრედია | 25 | 21 | 1 | 3 | 67-21 | 64 |
| დინამო | 24 | 20 | 2 | 2 | 95-26 | 62 |
| კოლხეთი | 24 | 17 | 3 | 4 | 53-17 | 54 |
| ბათუმი | 25 | 12 | 6 | 7 | 55-35 | 42 |
| მეტალურგი | 25 | 11 | 7 | 7 | 41-28 | 40 |
| ზუგდიდი | 25 | 12 | 3 | 10 | 45-38 | 39 |
| ტორპედო | 25 | 12 | 2 | 11 | 47-39 | 38 |
| დილა | 25 | 10 | 5 | 10 | 24-28 | 35 |
| ივერია | 25 | 8 | 4 | 13 | 35-39 | 28 |
| შევარდენი | 25 | 7 | 6 | 12 | 27-39 | 27 |
| გურია | 25 | 7 | 5 | 13 | 32-64 | 26 |
| მარგვეთი | 25 | 7 | 5 | 13 | 20-47 | 26 |
| კახეთი | 25 | 5 | 9 | 11 | 27-45 | 24 |
| დურუჯი | 25 | 6 | 2 | 17 | 20-57 | 20 |
| საპოვნელა | 25 | 5 | 5 | 15 | 27-61 | 20 |
| სამგურალი | 25 | 4 | 5 | 16 | 24-55 | 17 |

**ბოლო დღეების საფეხბურთო ცხოვრება, ცხადია, მარტო ამ მატჩით არ ამოწურულა:**

ჰოლანდიის ნაკრების ყოფილმა წევრმა, 32 წლის რონალდ კუმანმა დაადასტურა, რომ ორწლიან კონტრაქტს აწერს ხელს როტერდამის „ფეიენოორდთან". კუმანი ამჟამად ბარსელონაში" თამაშობს, სამშობლოში „აიაქსსა" და „ეინდჰოვენშიც" უთამაშია, ეროვნულ ნაკრებს კი აშშ-ის მსოფლიო პირველობის შემდეგ გაანება თავი.

პორტუგალიის პირველობაზე „ბენფიკამ" შინ 1:2 რომ წააგო „სპორტინგთან", ეგ კიდევ არაფერი. დამარცხებულთა არგენტინელ ვარსკვლავ კლაუდიო კანიჯას, ვინაც ამ თამაშში მოედნიდან გააძევეს, გულშემატკივრები მანქანაში მჯდომს მიუხდნენ და ღია სარკმელში ქვა შეუგდეს, რის შედეგადაც კლაუდიოს ქუთუთოზე ნაკერები დაადეს. კანიჯა, ვისაც აქამდე ერთობ მოსწონდა ცხოვრების ლისაბონური ყაიდა, ისე განაწყენებულა, რომ განუცხადებია, როგორც კი სეზონი დასრულდება, გუდა-ნაბადს ავიკრავო. იმავე თამაშში ნაკრებისა და „ბენფიკას" თავდამსხმელი ჟოაო პინტუ ისე შეეჯახა „სპორტინგის" მეკარე პაულო კოსტას, რომ რამდენიმე თვით გამოაკლდა სარბიელს.

საბერძნეთის თასის დრამატული ფინალის შემდეგ მოვლენები ასე განვითარდა: სამშაბათს დამარცხებული აეკ-ის რვა გულშემატკივარი გზად დაუხვდა ფინალის მსაჯ ფილიპოს ბახოსს, ტაქსიდან გადმოათრია და ისე სცემა, რომ არბიტრი ჰოსპიტალში წასაყვანი შეიქნა. მსაჯს „პანათინაიკოსის" მხარდაჭერა დაბრალდა — ორი აეკელი გააძევა, დამატებითი დროის ბოლო წუთზე კი აეკის კარში პენალტი დანიშნა, რისთვისაც კვართი მოედანზევე შემოახიეს. ბახოსის ცემის შემტყობმა სხვა მსაჯებმა პირი შეკრეს, განაცხადეს, აეკის ქომაგები ლაჩრულად და არაკაცურად მოიქცნენო და გაიფიცნენ — ამ კვირის ტურს აღარ იმსაჯებენ.

ყატარის შემდეგ ჭაბუკთა მსოფლიო პირველობის მასპინძლობის ჯერი 1997 წელს თურმე მალაიზიას უწევს, მაგრამ ერთობ გახმაურებული კორუფციული სკანდალების გამო ამ ქვეყნისთვის ფიფას ალმაცერად დაუწყია ცქერა და ნიგერიისა არ იყოს მისი შემცვლელისთვის ახლავე დაუწყია ძებნა. სხვათა შორის, ფიფას წლევანდლამდეც გადაუტანია ერთი ქვეყნიდან მეორეში ეს შეჯიბრება — 1985 წელს ჩილეს დროზე მოსდო შარი და „ფიფა — კოკა-კოლას თასი" სსრ კავშირს გაამართვინა, რომელსაც მანამდე 1990 წლის კაცთა მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობისთვის მოწყობილ კონკურსში იტალია აჯობინა.

საფრანგეთში იშვიათი სათასო დუბლია მოსალოდნელი. გუშინწინ „პარკ დე პრენსზე" „პარი სენ-ჟერმენმა" როშისა და რაის გოლებით 2:0 მოუგო „ბასტიას" და ლიგის თასი მოიპოვა. იქით კვირაში იქვე გაიმართება თასის ფინალი, რომელშიც იგივე „სენ-ჟერმენი" „სტარსბურს" უმასპინძლებს.

იტალიის ნაკრების მშვენება რობერტო ბაჯოს მისი კლუბი „იუვენტუსი" დაქადნებია, თუ კვლავაც ჩვენთან დარჩენა გსურს, ჯამაგირს ერთი მესამედით შემცირებაზეც უნდა დაგვყაბულდეო. „ლაციოში" უარესად ჰქონია საქმე „გაზად" ცნობილ ინგლისელ პოლ გესკოინს — ძირითად შემადგენლობაში არა და არ ათამაშებენ.

შოტლანდიის საუკეთესო ფეხბურთელად იქაურმა ჟურნალისტებმა დანიელი ბრიან ლაუდრუპი სცნეს. მედიის გამოკითხვაში ინგლისშიც უცხოელმა — გერმანელმა იურგენ კლინსმანმა გაიმარჯვა.

იურგენ კლინსმანთან ინტერვიუს მეოთხე გვერდზე წაიკითხავთ



# ანჩაბაძე ჰამბურგში

გუშინწინ გერმანიიდან დაბრუნდა თბილისის „დინამოსა" და ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი გიორგი ანჩაბაძე. იგი ორიოდე კვირით ჰამბურგს იმყოფებოდა, სადაც ოდესღაც სახელოვან კლუბში ორი საკონტროლო მატჩი ითამაშა. ბრემენში ჰამბურგელებმა „ვერდერს" 2:1 მოუგეს (ფოტოზე ამ მატჩის მომენტია გამოსახული), ანჩაბაძე ლეჩკოვის ნაცვლად გამოსულა მინდორზე, მეორე მატჩში კი ობერლიგის „ვიქტორია" გაუნადგურებიათ (6:1) და ერთი გოლი გიორგისაც გაუტანია. წინასწარი ცნობებით, ანჩაბაძით „ჰამბურგის" გარდა „აინტრახტი" და „კ ხერს ლაუტერნიც" დაინტერესებულან, მასთან ვრცელ ინტერვიუს კი მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.



# ძოძუაშვილი შეპეტოვკაში

შეპეტოვკის „ტემპის" „ქართველიზაცია" გრძელდება: ქართველი პრეზიდენტი, რვა ქართველი მოთამაშე და აგერ უკვე მეხუთე დღეა – ქართველი მწვრთნელი. დღეს „ტემპი" პირველ მატჩს გამართავს რევაზ ძოძუაშვილის ხელმძღვანელობით სტუმრად „დნეპრთან".

# შეფუცხუნებამ ყველას არგო

## შევარდენი 1:1 ბათუმი

25-ტური, 3 მაისი

შევარდენი: აბუსერიძე, მაისურაძე, მჭედლიშვილი, გუჩუა, შილაკაძე, მესტუმრე, მაქაცარია, ლ. ბერიშვილი, გოგოლაძე, თოლორდავა (კალმახელიძე 80), შუბითიძე.

ბათუმი: ბალაძე, გოგიტიძე, ფუტკარაძე, ი. მახარაძე, შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, ამბიძე, ხომერიკი (მაჭუტაძე 65), ტულუში, კანტიძე

0:1 ხომერიკი (15), 1:1 გოგოლაძე (55)

გაფრთხილება: შეყილაძე

მსაჯი: ვ. ეჯიბია (თბილისი)

თავიდანვე ბათუმელებმა იძალეს და შემდგომაც ასე იყო, „შევარდენი" კი რატომღაც საკუთარი საჯარიმოს მისადგომებიდან გრძელი გადაცემებით ცდილობდა ფონს გასვლას. ამნაირი შეტევების მოგერიება სტუმრებს არ გასჭირვებიათ, თავად კი თანდათან გაამძაფრეს იერიშები. განსა-



კუთრებით აქტიურობდნენ თორლაშვილი, ხომერიკი და ტულუში. მე-17 წუთზე ტულუშის მარცხნიდან გარღვევას საჯარიმოში ჩაწოდება მოჰყვა, ყველას ხომერიკმა დაასწრო და ანგარიშიც გაიხსნა. „შევარდენმა" პირველ ტაიმში მხოლოდ ერთხელ გაიბრძოლა – გოგოლაძემ მჭედლიშვილის ორმოცმეტრიანი პასი მიიღო, მაგრამ მის გარღვევა შეყილაძემ აკრძალული ილეთით შეაჩერა, რისთვისაც სამართლიანად დაიმსახურა ყვითელი ბარათი. სხვათა შორის, თამაში საკმაოდ უხეში იყო, აი, ამაში კი მასპინძლებმა აშკარად დაჯაბნეს სტუმრები. შესვენებისას მსაჯთა ოთახში ერთი ვაი-უშველებელი იდგა – ბათუმის წარმომადგენელი არბიტრს მღელვარედ მოუწოდებდა, წესიერად იმსაჯეო, მაგრამ ეჯიბია მაგრად დაუხვდა და ამ ინციდენტს მეორე ნახევარზე რაიმე საჩოთირო გავლენა არ მოუხდენია. ტაიმის დასაწყისშივე „შევარდენმა" შეუტია. მოედნის შუაგულში აქტიურობდა მაქაცარია, რომელმაც 55-ე წუთზე მაისურაძისგან მიღებული ბურთი შეუჩერებლად გაუგზავნა გოგოლაძეს, ამ უკანასკნელმა კი მიწაზე დაუშვებლად დაარტყა და ლამაზი გოლიც გაიტანა. გაშვებული გოლის შემდეგ სტუმრებმა შეტევებს უხშირეს, მაგრამ ვერცერთის ხეირიანად დასრულება ვერ შეძლეს. მსაჯი ლამის ყოველ წუთს ერეოდა თამაშში და გულუხვად არიგებდა ჯარიმებს ხან ერთ, ხან მეორე მხარეს. მეტოქენი ერთხანს კიდევ „კბენდნენ" ერთმანეთს, მაგრამ თამაშის მიწურულს დაწყნარდნენ და მშვიდობიანად გაეცალნენ ერთმანეთს.

მატჩის დამთავრების შემდეგ ისევ გამოჩნდა ბათუმელთა გუნდის წარმომადგენელი და მსაჯს საჯაროდ მოახსენა მადლობა მეორე ნახევრის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის. მოკლედ, შეფუცხუნებამ ყველას არგო, სტუმარსაც და მასპინძელსაც.

მამუკა კვანტალიანი

გიორგი თხინვალელის ფოტო


ტურისტული ფირმა „იმედი"
გთავაზობთ მოგზაურობას შემდეგ ქვეყნებში:

პოლანდია — გერმანიის გავლით
ბულგარეთი — სოფია, პლოვდივი
ირანი — თეირანი
ეგვიპტე — კაირო, ალექსანდრია

კვიპროსის ნებისმიერ ქალაქში დასასვენებლად და სამუშაოდ.
კანადაში — ენების შესასწავლად კანადის უნივერსიტეტში

დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ მისამართზე: ყაზბეგის 42. ვაჭრობის და მომარაგების სამინისტრო, IV სართული ტელ: 39-36-78, 38-11-14, 39-24-32 — საღამოს.


# ინტრიგა

## 26-ე ტური.

[illegible] — საერთო ბალანსი ჩემპიონატებში: მოგება (შინ), ფრე, წაგება, ბურთები.

### დინამო — მეტალურგი (4:1)

+7(3) =2(0) -1(1) 35-15 (20-9)

ამათი პირველი სამი შეხვედრის შემდეგ უპირატესობა რუსთაველთა მხარეს იყო – მათ ორ ფრეს მიაღწიეს, თბილისში კი სენსაციურად გაიმარჯვეს. ამის შემდეგ დინამოელებმა ზედიზედ 7 მატჩი მოიგეს, მათ შორის 4 რუსთავში. შეხვედრებს ყოველთვის უხვგოლიანობა გამოარჩევდა, 1993 წლის 3 ივნისის თბილისის მატჩში კი ეროვნული ჩემპიონატების დღემდე დაუმხობელი რეკორდიც დამყარდა – 12:4 გაიმარჯვა „დინამომ". ახლა ორივეს მოგება ესაჭიროება – მასპინძლებს – ჩემპიონობის შესანარჩუნებლად, სტუმრებს – ოთხეულში მოსახვედრად. საერთმანეთო ბომბარდირებს ჩინებული შედეგი აქვთ – ქინქლაძეს – 8 გოლი, ინალიშვილს, ყაველაშვილს – 6-6, შოთა და რეზო არველაძეებს (ყველა „დინამო") – 4-4, ფანცულაიას – 4, გიორგი კილასონიას (ორივე „მეტალურგი") – 3, შეხვედრები კი კორექტული იყო – მხოლოდ 5 ყვითელი ბარათი, ამათგან ორი – „იქითაც"და „აქეთაც" რუსთაველ – თბილისელმა ლობჟანიძემ მიიღო.

### სამტრედია — მარგვეთი (2:0)

+5(3) =1(1) -2(0) 17-10 (9-4)

მასპინძლები კლასით იმდენად სჯობნიან სტუმრებს, რომ სამი ქულის აღება ალბათ არ გაუჭირდებათ, თუმცა, საეჭვოა, ამას იოლად მიაღწიონ, რადგან ჩემპიონატის მიწურულს აუტსაიდერებიც მწარედ იკბინებიან. მარგვეთელებთან უპირატესობას სამტრედიელებმა ბოლო სამი მატჩის მოგებით მიაღწიეს, ამასთან, ერთ შეხვედრაში ზესტაფონელები შინ არ გამოუცხადდნენ მეტოქეს და უბრძოლველად გაატანეს სამი ქულა. სამტრედიაში ზესტაფონელებმა მხოლოდ ერთხელ, პირველ შეხვედრაში შეიძლეს ფრე, დანარჩენ სამში კი დამარცხდნენ. ამათი შეხვედრების ბომბარდირებიდან მხოლოდ ოთხგოლიანი ივანე ჯულელია („მარგვეთი") გამოსარჩევი. სამტრედიელები უფრო კორექტულად იქცეოდნენ, ვიდრე ზესტაფონელები, შესაბამისად, 1 და 5 გაფრთხილება.

### კოლხეთი — ივერია (3:2)

+7(2) =1(1) -0 20-5 (8-0)

ხაშურელთათვის მასპინძლები იმდენად უხერხული მეტოქეები არიან, ალბათ ვერც ამჯერადაც გამორჩებიან რამეს, თუმცა, „ივერიამ" კოლხელებთან ერთადერთ ნულოვან ფრეს სწორედ ფოთში მიაღწია. სხვათა შორის, ხაშურელებმა 8-დან 5 მატჩში ვერ შეძლეს მეტოქის კარის აღება, ფოთელებმა კი ეს მხოლოდ ერთ მატჩში ვერ მოახერხეს. შეიძლება ითქვას, რომ ამ შეხვედრის წინ ორივეს სადღეისო პროგრამა-მინიმუმი შესრულებული აქვს – მასპინძლებს მესამე ადგილს ალბათ ვერავინ შეეცილება, სტუმრებს კი ჯგუფში დარჩენის პრობლემა თითქმის გადაწყვეტილი აქვთ. ამათში, ბომბარდირიაო, ფოთელთა ჯულელზე (6 გოლი) და მახარაძეზე (4) ითქმის, ხაშურელთაგან კი ტყემალაძეა, ორი რომ გაუტანია. ივანე ჯულელი, ამ გაზაფხულიდან შეპეტოვკის „ტემპში" რომ გადავიდა, 26-ე ტურის ორი წყვილის მატჩების საუკეთესო ბომბარდირია. ამათი მატჩები ყოველთვის კორექტული იყო – მხოლოდ სამმა ხაშურელმა დაიმსახურა ყვითელი ბარათი.

### ბათუმი — გურია (0:0)

+6(4) =3(1) -3(1) 18-13 (12-4)

ბოლო ტურების წარუმატებლობამ მასპინძლების მეოთხე საფეხურზე ყოფნა საეჭვო გახადა, სტუმრები კი მთელი მეორე წრე ერთობ უხეიროდ ასპარეზობენ და აუტსაიდერთა რიგებშიც გადაინაცვლეს. ეს ყოველივე, ცხადია, გაამძაფრებს ამ მატჩს, თუმცა სიმძაფრე არასოდეს აკლდა ამათ ადრინდელ შეხვედრებს. პირველ ოთხ მატჩში გურულებმა იძალეს – 2 მოგება, 2 ფრე, მომდევნო ოთხში კი ბათუმელებმა და დღემდეც ინარჩუნებენ უპირატესობას. დიდი ანგარიშით „გურიამ" ერთხელ გაიმარჯვა, ბათუმმა – ორჯერ. ბათუმში „გურიამ" ერთხელ მოიგო, მაგრამ ეს იყო 5 წლის წინათ, პირველ ეროვნულ ჩემპიონატში. იმ მატჩის მონაწილეთაგან „გურიაში" მხოლოდ ახლანდელი კაპიტანი კახა კვინტრაძე და მთავარი მწვრთნელი გია იმნაძელა დარჩნენ. 5-5 გოლით საერთმანეთო ბომბარდირები არიან ხომერიკი („ბათუმი") და კორლალიძე („გურია"). ამათ მატჩებს კორექტული ვერ ეთქმის – 11 გაფრხილება.

### ტორპედო — დილა (1:2)

+5(4) =1(0) 4(0) 25-18 (16-5)

ესენი საპრიზო ადგილებზე პრეტენზიას არ აცხადებენ და ცხრილის ზედა ნაწილში მეზობლობენ კიდეც. წინა ჩემპიონატის გარდა, როცა ტორპედოელებმა ორივეჯერ დაამარცხეს მეტოქე, ერთ-ერთი მხარე ყოველთვის ილებდა რევანშს პირველ წრეში დამარცხებისთვის, ასე რომ, ამჯერად ქუთაისელებმა უნდა გაიმარჯვონ. თანაც, რევანშის ამღები ყოველთვის უკეთესი ანგარიშით ამარცხებდა მეტოქეს. ასე იყო პირველივე ეროვნულ ჩემპიონატში – ქუთაისელებმა სტუმრად 1:3 წააგეს, შინ კი გამანადგურებელი მარცხი აწვნიეს მეტოქეს 8:3. ეს შედეგი ორივესთვის სარეკორდოა ეროვნულ ჩემპიონატებში. საერთმანეთო ბომბარდირები არიან დავით ჯანაშია – 6 გოლი, ხუნდაძე (ორივე „ტორპედო") – 4, ნეფარიძე, ზურაბ ხორგუაშვილი (ორივე „დილა") – 3-3. ამათ მატჩებში გორელები მეტოქეზე უფრო კორექტულები იყვნენ – მათ მხოლოდ ერთი ყვითელი ბარათი მიიღეს, ქუთაისელებს კი ერთი მოთამაშე გაუძევეს და ოთხიც გაუფრთხილეს.

### კახეთი — ზუგდიდი (0:3)

+2(2) =0 -3(0) 6-9 (6-2)

პირველ წრეში „კახეთი" ზუგდიდში არ ჩავიდა და წაგებაც ჩაეთვალა. ასევე იყო წინა სეზონშიც – მაშინაც ჯერ კახელები არ ჩავიდნენ ზუგდიდში, შემდეგ კი ზუგდიდელები არ გამოცხადდნენ თელავში. ასე რომ, ამათ, ფაქტიურად მხოლოდ ორი მატჩი ითამაშეს – პირველში შინ, „კახეთმა" გაიმარჯვა 3:2, მეორეში „ზუგდიდმა" 1:0. თუ ზუგდიდელები ამჯერადაც არ ესტუმრებიან თელაველებს, მათ შორის სრული თანაფარდობა აღდგება.

### სამგურალი — საპოვნელა (0:1)

+1(1) =0 -2(0) 2-6 (1-0)

აუტსაიდერთა კვალობაზე ეს შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანია და ალბათ გაგვცემს კიდეც პასუხს კითხვაზე: ვინ დატოვებს ჯგუფს? ყვარლის დურუჯთან ერთად ეს გუნდები ჯგუფიდან გავარდნის ყველაზე რეალური კანდიდატები არიან. ამათში აქამდე მხოლოდ მასპინძლები იმარჯვებდნენ. პირველ მატჩში „საპოვნელამ" დიდი ანგარიშით 5:1 გაიმარჯვა, მომდევნო ორი კი ერთნაირი ანგარიშით 1:0 დასრულდა – მეტოქეებმა თითო მოგება ჩაიწერეს. შეხვედრები ვერ იყო კორექტული – სამ თამაშში 7 ყვითელი ბარათი.

### დურუჯი — შევარდენი (0:2)

+0 =0 -1(0) 0-2

ბათუმელებთან გამარჯვების შემდეგ მასპინძლებს ჯგუფში დარჩენის მცირე იმედი კი მიეცათ, მაგრამ კვლავაც უმძიმეს მდგომარეობაში არიან. სახიფათო ზონას ჯერ თბილისელებიც არ გასცილებიან, თუმცა მათი მდგომარეობა შედარებით უკეთესია. პირველ წრეში თბილისელებს დიდი ანგარიშითაც შეეძლოთ გაემარჯვათ, მაგრამ პენალტი ვერ გამოიყენეს.

რევაზ შენგელია

## I ჯგუფი

24-ე ტური, 29 აპრილი

### სამგურალი 2:1 მეტალურგი

სამგურალი: კიკალეიშვილი, ივანეიშვილი, გუბელაძე (ე. ჩიხლაძე 77), ლ. ფესტვენიძე, გ. ჩიხლაძე, მუშკუდიანი, იობიძე, ჯანაშია, • აშვეთია, ჩხეტიანი

მეტალურგი: დოლიძე, ქველაძე, (ტარტარაშვილი 46), ბურნაძე, არჩვაძე, კობიაშვილი, ყაველაშვილი, კვარაცხელია, გ. კილასონია, ჩალაძე, მეტრეველი, ალადაშვილი (გაფრინდაშვილი 46), -

1:0 ლ.ფესტვენიძე (2), 2:0 იობიძე, (29), 2:1 ტარტარაშვილი (70)

მსაჯი: ე. სილაგავა (თბილისი)

### დურუჯი 1:0 ბათუმი

დურუჯი: პაქსაშვილი, ვ. ხუბეჯიშვილი, ყანჩაშვილი, ელოშვილი, ბოჭორიშვილი, ჭაჭუა (ქარენაშვილი), ლობჟანიძე, ჯაშიაშვილი, (გეგეშიძე), პოზოიანი, გ. ხუბეჯიშვილი, ლევინიაშვილი

ბათუმი: ბალაძე, ფუტკარაძე, მუჯირი, (ხომერიკი 83), ი. მახარაძე, შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, მაჭუტაძე, ამბიძე, ტულუში, კანტიძე

1:0 გ.ხუბეჯიშვილი (14)

გაფრთხილება: ლობჟანიძე, ფუტკარაძე

მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

### კახეთი 0:0 ივერია

კახეთი: ჩიქვინიძე, შალამბერიძე, ათუაშვილი, ცქიფურიშვილი, სოლოღაშვილი, ბაკურაძე, დოლიძე, ლ.ხორხელი (სირაძე 46), ა. ხორხელი, ბაბულაიძე, კახოიძე

ივერია: ტოგონიძე, ნეკერაშვილი, სამხარაძე (გლუნჩაძე 7), მალანია, ლაცაბიძე, ტყემალაძე, იობაშვილი, ჩიბაშვილი, ჩადუნელი, ქობელაშვილი, ნიკლაური

მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი)

### საპოვნელა 0:1 ზუგდიდი

(ვანში)

საპოვნელა: თევზაძე, მორალიშვილი, ხელაძე, ჭელიძე, ხვარეშია, უკლება, ბუნტური, გურაბანიძე, გოდერძიშვილი, ახვლედიანი, ხურცილავა

ზუგდიდი: ჭანტურია, ახვლედიანი, ქალამიძე, თუთბერიძე, ერქვანია, ქაძანაია, კვარაცხელია, კუტალია, დარასელია, გაბისონია, გაბედავა

0:1 გაბისონია (50)

გაფრთხილება: ხელაძე

მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

### კოლხეთი 4:0 მარგვეთი

კოლხეთი 1913: გვასალია, მიქაბერიძე, კაკაჩია, დანელია, გოროზია, ღლანიძე, ტორჩინავა (ბულუხია 69), მახარაძე (თიბილაშვილი 74), გიგატაძე, დარასელია, გიორგაძე

მარგვეთი: გვენცაძე, ბებიაშვილი, გურიელიძე, მაღლაკელიძე, ლონდაძე, ლანჩავა, გაბრიჭიძე (ფანცხავა 80), ფოცხვერაშვილი, ჩხეტია (კიკნაძე 60), დ.კაკუბავა, ენდელაძე

1:0 ბულუხია (71), 2:0 მიქაბერიძე (73) 3:0 დარასელია (763), 4:0 ღლანიძე (85)

მსაჯი: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

### ტორპედო 4:0 გურია

ტორპედო: ნიშნიანიძე, შეყრილაძე, თურმანიძე, ბზიკაძე, ვოსკანოვი (ხერხაძე 65), ნიქარიშვილი, სუხიაშვილი, ხუნდაძე, ნოზაძე, კვეტენაძე, ვაჩიბერაძე (გ. მეგრელაძე 65)

გურია: კუნჭულია, კოროტკოვი, იმნაძე, კუკულაძე, განიევი, ლორია, ნარიაშვილი (ბუცურეიშვილი 46), ქიქავა, წილოსანი, სიხარულიძე, ებრალიძე

1:0 ხუნდაძე (18), 2:0 ხუნდაძე (20), 3:0 ხუნდაძე (58), 4:0 გ. მეგრელაძე (75)

გაფრთხილება: ნარიაშვილი, იმნაძე

მსაჯი: მ. კობიაშვილი (დუშეთი)

22-ე ტურში, „კოლხეთი 1913" — „შევარდენის" მატჩში პირველი გოლი გაიტანა ბულუხიამ (კოლხეთი)

23-ე ტურის მატჩში „ბათუმი" — „სამტრედია" გოლები გაიტანეს: კანტიძემ (5), უემაჯურიძემ (48), ბალაძემ (613) და სამტრედიელმა დ. ჯანაშიამ (3)

## II ჯგუფი. აღმოსავლეთი

XXII ტური, 29, 30 აპრილი: შირაქი — კრწანისი 2:1, მერანი ბაჩო — გვარდია 2:2, მრეტები — მერანი 91 1:2, ალაზანი — არაგვი 2:2, ქიზიყი — ჭაბუკიანი 4:0, აზოტი — თორი 2:1, ასკ — სიონი 0:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 22 | 17 | 3 | 2 | 63-16 | 54 |
| მესხეთი | 22 | 16 | 4 | 2 | 59-23 | 52 |
| ზოოვეტი | 22 | 15 | 4 | 3 | 55-22 | 49 |
| მერან-91 | 22 | 15 | 4 | 3 | 42-11 | 49 |
| მერანი-ბაჩო | 22 | 10 | 6 | 6 | 46-26 | 36 |
| შირაქი | 22 | 10 | 1 | 11 | 26-31 | 31 |
| გვარდია | 22 | 8 | 5 | 9 | 33-35 | 29 |
| აზოტი | 21 | 7 | 8 | 6 | 30-28 | 29 |
| ქიზიყი | 22 | 7 | 6 | 9 | 33-40 | 27 |
| ჭაბუკიანი | 22 | 7 | 2 | 13 | 17-43 | 23 |
| ასკ | 22 | 6 | 5 | 11 | 25-39 | 23 |
| არაგვი | 21 | 5 | 7 | 9 | 25-32 | 22 |
| თორი | 22 | 5 | 4 | 12 | 28-47 | 19 |
| მრეტები | 22 | 4 | 5 | 13 | 22-47 | 17 |
| ავაზა | 22 | 3 | 6 | 13 | 23-51 | 15 |
| ალაზანი | 22 | 3 | 4 | 15 | 19-46 | 13 |

## II ჯგუფი. დასავლეთი

მე-17 ტური, 29, 30 აპრილი: უნივერსიტეტი — სამეგრელო 4:1, კახაბერი — სულორი 4:0, მერცხალი — მაღაროელი 1:1, საჩინო — იმერეთი 0:0, მეშახტე — სქური 2:1, ეგრისი — შუქურა 6:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მეშახტე | 15 | 13 | 1 | 1 | 45-16 | 40 |
| ეგრისი | 16 | 13 | 1 | 2 | 40-13 | 40 |
| მერცხალი | 16 | 10 | 1 | 5 | 28-20 | 31 |
| კახაბერი | 15 | 10 | 1 | 4 | 28-19 | 31 |
| ბახმარო | 15 | 9 | 1 | 5 | 31-17 | 28 |
| სამეგრელო | 16 | 8 | 0 | 8 | 19-23 | 24 |
| მაღაროელი | 16 | 7 | 2 | 7 | 23-24 | 23 |
| სქური | 16 | 6 | 2 | 8 | 26-30 | 20 |
| სულორი | 16 | 6 | 2 | 8 | 20-21 | 20 |
| უნივერსიტ. | 16 | 6 | 0 | 10 | 28-34 | 18 |
| იმერეთი | 16 | 3 | 2 | 11 | 14-28 | 11 |
| შუქურა | 16 | 3 | 0 | 13 | 15-38 | 9 |
| საჩინო | 15 | 1 | 1 | 13 | 9-43 | 4 |

## III ჯგუფი

13-ე ტური, 22 აპრილი: ცხინვალი — ნიკეა 5:1, ყინერი — პროგრესი 5:0, იბერია (თბ) — რწმენა 0:0

14-ე ტური, 30 აპრილი: ენერგეტიკოსი — ცხინვალი 2:0, ნიკეა — იბერია (თბ) 0:1, რწმენა — იბერია (ქ) 2:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იბერია (ქ) | 10 | 6 | 3 | 1 | 18-7 | 21 |
| რწმენა | 11 | 6 | 3 | 2 | 19-7 | 21 |
| ენერგეტიკ. | 11 | 5 | 4 | 2 | 21-5 | 19 |
| იბერია (თბ) | 11 | 5 | 4 | 2 | 19-14 | 19 |
| ყინერი | 10 | 5 | 3 | 2 | 22-14 | 18 |
| ცხინვალი | 11 | 2 | 5 | 4 | 11-13 | 11 |
| ნიკეა | 10 | 1 | 1 | 8 | 7-34 | 4 |
| პროგრესი | 10 | 0 | 1 | 9 | 7-30 | 1 |

# ცაავა: ჭრილობა კანონის სახელით





ამ ორ ფოტოს თხუთმეტი წელი აშორებს. თუმცა ცაავა მაშინაც თავიდან იწყებდა და ახლაც...

შეგშურდება, აბა რა იქნება: ეს რუსები რომ პოლიტიკაში მუდამ რუსობდნენ, არახალია, კომუნისტებისგან შერისხული რელიგიაც რომ კვლავ ქვეყნის სამსახურში ჩაიყენეს, არც ამას გაუვა წყალი, სპორტია და, ამითაც მეთოდურად ცდილობენ რუსული სულის გაღვიძება-გაძლიერებას. ამათი საუკეთესო გაზეთი „სპორტ-ექსპრესი" ლამის რუსული სულის ბურჯადაა ქცეული. ნებისმიერი ნომერი გადაშალეთ: ისეთი სიამაყით წერენ ნიკიფოროვ-ციმბალარ-თეთრაძე-კანჩელსკისის რუსობაზე, თითქოს ეს ბიჭები ძირძველი პეტერბურგელები იყვნენ, ანაც ბავშვობაში არბატზე ეგორებინოთ ბურთი. ჩვენ კი... დრო იყო, ცხადაძეს მოღალატე ვეძახეთ, თეთრაძე კი გავაოსიპოვეთ და გავაქციეთ, ახლა, ეტყობა, ჯერი რევიშვილზე მიდგა. მაგრამ მარტო ეს როდია: ეჭვი არ მეპარება, გულს გატკენთ, რასაც ახლა მოგიყვებით. დებულების ერთ-ერთი მუხლის თანახმად, 33 წლის გრიგოლ ცაავას „დინამოში" თამაშის უფლება არ ეძლევა. ფედერაცია ისე მტკიცედ იცავს ამ წესს, თითქოს ამ ექვსი წლის მანძილზე ერთხელაც არ დაერღვიოს თავისივე დაწერილი დებულება. ისე არ გამიგოთ, თითქოს კანონის დარღვევის მომხრე ვიყო! სწორედაც რომ პირიქითაა და ღმერთმა დამიფაროს ამგვარი აზრებისგან. მაგრამ თუ ახლახან კლუბებს ორ-ორი მოთამაშის დამატების უფლება ებოძათ, რა დააშავა მცირედით შეგვიანებულმა 33 წლის გრიგოლ ცაავამ, ათი წელი „დინამოს" რომ შესწირა, სამი — „ცზუმს" და როგორც გუმისთაზე მითხრა ერთ-ერთმა მებრძოლმა: „ბურთი არ ექნება იმდენჯერ დარტყმული, რამდენჯერაც ავტომატის მჭიდე გამოცვლილი. აფხაზები რაციით გადასცემდნენ, ცაავა აქა და აქ იმყოფება და იქნებ ტყვედ ავიყვანოთო". ლამის პირველივე ჭურვმა სოხუმში, ჭანბას ქუჩაზე, ცაავების სახლი ნანგრევებად აქცია და სოხუმში ჩასულ სახელმწიფოს მეთაურს პირველად სწორედ ეს ადგილი აჩვენეს, აქ ფეხბურთელი ცაავა ცხოვრობდაო...

დილმის ბაზაზე „დინამოს" ვარჯიშს რომ ვუყურე, გამიხადა: ქრისტეს ასაკში მყოფი ცაავა კოლეგებს მაინცდამაინც არ ჩამოუვარდებოდა ჯანით. ვიცოდი, ნებას რომ არ რთავდნენ „დინამოში" ეთამაშა, მიზეზიც კარგად ვუწყოდი, მაგრამ ყასიდად მაინც შევეკითხე, იქნებ ლაპარაკის საღერღელი აეშალო-მეთქი. არც კალამი და ფურცელი მომიმარჯვებია, ემანდ სულ არ დავაფრთხო-მეთქი...

— ამ ჩემპიონატის პირველი მატჩი „შევარდენის" შემადგენლობაში წყალტუბოში „სამგურალთან" ვითამაშე, ორი გოლიც გავიტანე. ორიოდ თამაშის მერე ჯანმა, რომ მიღალატა ვიფიქრე, დავბერდი, რაღა დროს ჩემი ფეხბურთია, მოდი, ბუცებს ლურსმანზე ჩამოვკიდებ-მეთქი. რამდენიმე თვე ისე, ჩემთვის ვვარჯიშობდი, მაგრამ უცებ, როგორი საქმეა, დავით ყიფიანმა დამიძახა. იცი, ეს რას ნიშნავს ჩემთვის?! ყიფიანმა მითხრა: გრიშა, მომეხმარე, სულ ახალგაზრდა ბიჭები მყავს და შენი გამოცდილება ძალიან გამომადგებაო. ვისაც ფეხბურთი არ უთამაშია, ვერასდროს მიხვდება, რა გრძნობა დამეუფლებოდა. მე „დინამოს" ვჭირდები, იმ „დინამოს", ათი სეზონი რომ ვთამაშობდი. არ მეჯერა, ნუთუ კიდევ ვითამაშებ იმ სტადიონზე, რომლის ტრიბუნებიდან მრავალჯერ მომისმენია „ცაავა!" „ცაავა!" მონატრების და პასუხისმგებლობის გრძნობა იმდენად დიდი იყო, ძალები მომემატა, თანაც დილმის ბაზაზე დავიწყე ვარჯიში. არ ვიცი, ვის როგორ წარმოუდგენია, მაგრამ დავით ყიფიანის მოსვლა „დინამოში" დიდი მოვლენაა. ჩემს ცნობიერებაში ეს ორი სახელი განუყოფელია და ურთმანეთოდ არაბუნებრივად ჟღერს...

დავიწყე ვარჯიში, რაღაც გარკვეულ კონდიციამდე მივედი, მაგრამ რად გინდა — თუ არ ითამაშე, ვარჯიშს რა აზრი აქვს? ჩემი ახალგაზრდა პარტნიორები უნიჭიერესი ბიჭები არიან, სათამაშო პრაქტიკა კი აკლიათ, ძნელია ასე უცებ, ამდენი ძლიერი მოთამაშის წასვლის მერე ისევ კარგი გუნდის ძაყენება, მაგრამ ყიფიანი მაინც დააყენებს...

— **ვთქვათ და, არ დაგრთეს ნება ამ სეზონში, მერე რას აპირებ?**

— შევეშვები ფეხბურთს, ჩემი ასაკის და ბედის კაცს რა ნერვები გამიძლებს...

— **როგორ თუ შეეშვები... „დინამო" საშემოდგომოდ ევროთასზე გასვლას უმიზნებს და განა მერე აპატიებ შენს თავს ამისთანა შანსის დაკარგვას?**

— ახლა კი ნამდვილად ჭრილობაზე შემეხე. იცი, როგორ მომენატრა სავსე „დინამოს" სტადიონზე დიქტორის მიერ გამოცხადებული ჩემი გვარის გაგონება?

...ამასობაში ვარჯიში დაიწყო. ბაზიდან გამოსული, ცხადია, ისევ ცაავას ბედზე ვფიქრობდი, რატომღაც ისვ ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები გამახსენდა და ასეთი სცენაც წარმოვიდგინე: ვეტერანი გავრილოვი თხოვნით მიმართავს კოლოსკოვს, მოსკოვის „სპარტაკში" თამაშის ნება მომეციო. ის კი გაჯიუტებული გაიძახის: იურა, გამიგე, არ შემიძლია, შენ ხომ უკვე ითამაშე წელს მოსკოვის „ლოკომოტივში".

გრიგოლ ცაავას კი ბოლოს ვუხდი, მის ნაღვლიან საუბარს დაუკითხავად რომ გავწვდით...

მამუკა კვარაცხელია

## ინგლისი

1 მაისი: **ქოვენთრი — მანჩესტერ იუნაიტედი 2:3.** 2 მაისი: **უიმბლდონი — ლივერპული 0:0.** 3 მაისი: **ასტონ ვილა — მანჩესტერ სიტი 1:1, ევერტონი — ჩელსი 3:3, ნიუკასლი — ტოტენჰემი 3:3, საუთჰემპტონი — კრისტალ პალასი 3:1, ვესტ ჰემი — ქუინზ პარკი 0:0.**

### კიდევ ბევრი რამ დარჩა გასარკვევი

პირველობაზე ახალი კვირის პირველი ნახევრის მატჩებმა მეტად დაძაბა ვითარება. მას შემდეგ, რაც კვირას „ბლექბერნს" მარცხი შეემთხვა ლონდონში, მდევარსა და შარშანდელ ჩემპიონ „მანჩესტერ იუნაიტედს" სტუმრად, ჰაიფილდ როუდზე უნდა მოეგო გავარდნის კანდიდატ „ქოვენთრისთვის", ლიდერის დაწევის შანსი კიდევ რომ ჰქონოდა. ასეც მოხდა: „იუნაიტედი" თამაშში სამჯერ დაწინაურდა და გაიმარჯვა. მასპინძელთაგან ანგარიში ორჯერვე პრესლიმ გაათანაბრა, სტუმართა მეორე და მესამე ბურთები კი მანჩესტერელთა ახალმა შენაძენმა, ენდი კოულმა გაიტანა. გადამწყვეტი ბურთი მას შემდეგ გავიდა, რაც ქოვენთრელმა რიჩარდსონმა მეკარეს უხეიროდ მიაწოდა ბურთი.

ჩემპიონს ერთი თამაში თადარიგში აქვს. მორიგ ტურში „მანჩესტერი" კვირას უმასპინძლებს „შეფილდ უენზდეის", „ბლექბერნი" კი ორშაბათს შინ ეთამაშება „ნიუკასლს", რომელიც უეფას თასზე ახლა უკვე სულ იოლად მოხვდება, თუკი „იუნაიტედი" ასოციაციის თასის ფინალს მოუგებს „ევერტონს", რომელიც, თავის მხრივ, პირველობაზე დასარჩენად იბრძვის.

გუშინწინ „ევერტონი" შინ, „გუდისონ პარკზე" ორჯერ უგებდა „ჩელსის", მაგრამ ბოლოს მაინც უხვგოლიან ფრეს დასჯერდა. „ვესტ ჰემმა" კიდევ ერთი ძვირფასი ქულა მიითვალა, „ასტონ ვილამ" კი 25 თებერვლის შემდეგ პირველად გაიტანა ბურთი, მაგრამ მაინც ერთ ქულას დასჯერდა. სამაგიეროდ, „კრისტალ პალასმა" წააგო „საუთჰემპტონთან", რომელსაც ექვსი ძირითადი მოთამაშე აკლდა, და „ნორვიჩთან" ერთად დამკვიდრდა ბოლოდან მესამე და მეოთხე ადგილებზე, პირდაპირ რომ ვარდებიან ლიგის პირველ ჯგუფში.

გადადებული მატჩები ოთხშაბათს ამ ჯგუფშიც ჩატარდა, რის შედეგადაც გაირკვა, რომ ინგლისის ნაკრების ყოფილი კაპიტნის ბრაიან რობსონის მწვრთნელობით კლუბი „მიდლსბრო" ლიგის ჩემპიონი გახდა და გაისად პირველობაზე ითამაშებს, ნაკრების მწვრთნელყოფილ გრემ ტეილორის „ვულვერჰემპტონმა" კი პირველობაზე გადასასვლელ გადათამაშებაში მონაწილეობა დაიბევა.

დავით მჭედლიშვილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბლექბერნი | 40 | 26 | 8 | 6 | 78-37 | 86 |
| მანჩესტერ იუნ. | 39 | 24 | 9 | 6 | 73-26 | 81 |
| ნოტინგემი | 40 | 21 | 10 | 9 | 69-41 | 73 |
| ლივერპული | 39 | 20 | 11 | 8 | 63-31 | 71 |
| ნიუკასლი | 40 | 19 | 12 | 9 | 64-44 | 69 |
| ლიდსი | 39 | 18 | 12 | 9 | 53-35 | 66 |
| ტოტენჰემი | 39 | 16 | 13 | 10 | 63-52 | 61 |
| ქუინზ პარკი | 40 | 15 | 9 | 16 | 56-56 | 54 |
| უიმბლდონი | 40 | 15 | 9 | 16 | 46-63 | 54 |
| საუთჰემპტონი | 39 | 12 | 16 | 11 | 58-59 | 52 |
| არსენალი | 40 | 13 | 11 | 16 | 51-47 | 50 |
| ჩელსი | 40 | 12 | 14 | 14 | 47-53 | 50 |
| მანჩესტერ სიტი | 40 | 12 | 13 | 15 | 51-60 | 49 |
| შეფილდ უენ. | 40 | 12 | 12 | 16 | 45-55 | 48 |
| ვესტ ჰემი | 39 | 12 | 10 | 17 | 40-46 | 46 |
| ქოვენთრი | 39 | 11 | 13 | 15 | 41-59 | 46 |
| ევერტონი | 39 | 10 | 15 | 14 | 43-51 | 45 |
| ასტონ ვილა | 40 | 10 | 14 | 16 | 48-55 | 44 |
| კრისტ.პალასი | 39 | 10 | 12 | 17 | 30-43 | 42 |
| ნორვიჩი | 40 | 10 | 12 | 18 | 35-51 | 42 |
| ლესტერი | 40 | 6 | 9 | 25 | 42-77 | 27 |
| იფსვიჩი | 39 | 6 | 6 | 27 | 33-88 | 24 |

## გერმანია

### «ბაიერნი» - «აინტრახტი» 0:2

მიუნხენის „ბაიერნს" მეტად შეუმცირდა ჩემპიონობის შანსი. სამშაბათს ქვეყნის ფეხბურთის კავშირმა კლუბს გაუუქმა „აინტრახტთან" გატანილი ხუთივე ბურთი, რის შემდეგაც ანგარიშით 2:0 მოგებული ფრანკფურტელები დარჩნენ. მიზეზი ისაა, რომ მიუნხენელთა იტალიელ მწვრთნელ ჯოვანი ტრაპატონის მოყვარულთა სათვალავი აერია და ერთ-ერთი შეცვლა რომ გააკეთა, ამის შედეგად მოედანზე ერთბაშად ოთხი მოყვარული მოუგროვდა, რაც ბუნდესლიგის წესებით აკრძალული ყოფილა. კლუბის ადმინისტრაციას მწვრთნელის საბედისწერო განზრახვა დროულად შეუნიშნავს და გამალებული ხელების ქნევაც მოურთავს, მაგრამ „ტრაპი" ვერაფერს მიხვედრილა. წაგების მოსჯა რომ შეუტყვია, „ბაიერნის" მეკარე ოლივერ კანს თავიდან ხუმრობა ჰგონებია, კლუბის მენეჯერი ული ჰიონესი კი ჩივილს აპირებს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დორტმუნდი | 28 | 17 | 7 | 4 | 56-25 | 41 |
| ვერდერი | 28 | 16 | 8 | 4 | 52-28 | 40 |
| კაიზერსლაუტ. | 28 | 14 | 11 | 3 | 43-29 | 39 |
| ფრაიბურგი | 28 | 16 | 5 | 7 | 56-39 | 37 |
| გლადბახი | 28 | 15 | 6 | 7 | 56-34 | 36 |
| ბაიერნი | 28 | 11 | 13 | 4 | 46-36 | 35 |
| კარლსრუე | 28 | 9 | 12 | 7 | 38-34 | 30 |
| ლევერკუზენი | 28 | 10 | 8 | 10 | 48-41 | 28 |
| კიოლნი | 28 | 10 | 8 | 10 | 45-43 | 28 |
| შალკე | 28 | 9 | 10 | 9 | 39-38 | 28 |
| აინტრახტი | 28 | 9 | 9 | 10 | 31-40 | 27 |
| ჰამბურგი | 28 | 9 | 8 | 11 | 37-35 | 26 |
| შტუტგარტი | 28 | 8 | 9 | 11 | 45-53 | 25 |
| ტსვ მიუნხენი | 28 | 6 | 9 | 13 | 33-48 | 21 |
| ურდინგენი | 28 | 4 | 11 | 13 | 27-39 | 19 |
| ბოხუმი | 28 | 7 | 3 | 18 | 30-58 | 17 |
| დუისბურგი | 28 | 4 | 7 | 17 | 20-51 | 15 |
| დინამო | 28 | 3 | 6 | 19 | 24-55 | 12 |

# ორი სენდვიჩი... ეს რა თამაშია?!

ქართველ ლეგიონერთა ოდენობამ ლამისაა ასეულს გადააჭარბოს. ზოგიერთმა უკვე რამდენიმე კლუბიც გამოიცვალა, ვასილ მიქაშავიძეს კი ამაში ვერავინ შეედრება: „დინამო", „მეტალურგი", „აზ-67" (ალკმაარი, ჰოლანდია), „რაჯა" (კასაბლანკა, მაროკო), „ბაფოსი" (ევაგორასი, კვიპროსი), „ფლაიერზი" (რალი, აშშ). ამ უმეტესად უცხო სახელების შემდეგ ზოოვეტინსტიტუტის „კრწანისი" თან ყურს მოგჭრის, თან გეამება. ნათქვამს იმასლა დავამატებთ, რომ XXII ტურის ცენტრალურ მატჩში მეორე ჯგუფის ლიდერთან, ახალციხის „მესხეთთან" შინ გამარჯვებაში (2:1) ლომის წილი სწორედ სტუდენტობის ასაკს კარგახნის გადაცილებულმა ზოოვეტელთა ორმა ახალწვეულმა დაიდო: დათო ნეფარიძემ და ვასილ მიქაშავიძემ. ამ უკანასკნელმა ერთი გოლი გაიტანა, ორჯერ კი ძელს გაარტყა ბურთი. მიქაშავიძე სწორედ ამ თამაშის მერე მოვიხელთე. ალღო მკარნახობდა არც ეს იქნება მისი ბოლო ნავსაყუდელია, ვინძლო, კიდევ სადმე უცხოეთში წავიდეს-მეთქი. არც შევმცდარვარ...



ვასილ მიქაშავიძე და გიორგი ხურცილავა ამერიკაში

— მაისის ბოლოს გერმანიას მივემგზავრები, ათამადე კლუბში უნდა გავესინჯო, სადაც მოვეწონები და პირობებზეც შევთანხმდებით, იქ დავრჩები. „დინამოს" პრეზიდენტს მერაბ ჟორდანიას რამდენიმე კლუბის წარმომადგენელთან ჰქონდა ამაზე საუბარი — ბუნდესლიგის კლუბებთან — ობერლიგის გუნდებამდე. ერთ-ერთს ამოვირჩევ...

— **შარშან, შემოდგომით, ამერიკიდან დაბრუნებულმა მითხარი, ჩემი მონაცემები კომპიუტერშია შეტანილი და პროფესიული ლიგის ჩამოყალიბების შემთხვევაში დაგიძახებენო...**

— ადრეც მითქვამს შენთვის, ამერიკა რისიც გნებავთ ქვეყანაა, ოღონდ არა სოკერისა. მსოფლიოს ჩემპიონატიც კი შოუდ აქციეს. მაგათ ფეხბურთი იმდენად აინტერესებთ, რამდენ სენდვიჩს მიირთმევენ თამაშზე. კეტბურთის მატჩებს შვიდი საათი უყურებენ! თან ოჯახებით დადიან და პირს არ აჩერებენ, მიკვირდა, სად ჩასდით ამდენი-მეთქი. ფეხბურთი რომ საათნახევარში რჩებოდა, უკვირდათ, ეს რა თამაშია, ხეირიანად ორიოდ ბუტერბროდიც ვერ გავლეჭეთო...

— **ისეთებს ამბობ, ბარემ სხვა კურიოზიც გაიხსენე...**

— მე და გოგა ხურცილავას ერთი ნახშირივით ზანგი თანაგუნდელი გვყავდა, ტად ჰასკინსი — იქაური „ძველი ბიჭი". გამოვულაყეთ ტვინი ქართული საჭმელების ქებით. ჰოდა, ერთხელაც დაგვავლო ხელი და ისეთ უბანში მიგვიყვანა რესტორანში, თეთრები სათოფეზე რომ არ ეკარებიან. თანაც ჩვენებურად გაიხარჯა: თავად გადაიხადა იმ რესტორანში შვედური მაგიდა იყო, სვი-ჭამე, რამდენიც გენებოს, ლუკმა აღარ ჩაგვდიოდა იმდენი ვჭამეთ, ჰოდა უცებ... გუდის ყველს არ გადავაწყდით?!

— **„რალი ფლაიერზიდან" ხომ არ დაგკავშირებიან, აპრილში უკვე ჩემპიონატი დაიწყო...**

— ტელეფონით ველაპარაკე კლუბის ხელმძღვანელებს, ჩამოდიო, მითხრეს, მაგრამ პროფესიული ლიგა არ შეიქმნა და ალბათ, აღარც შეიქმნება, ჰოდა, რა მინდა ამერიკაში, სადაც, ფეხბურთი გასართობად აქვთ, მე კი უკვე ასაკში შევდივარ, მომავალზე უნდა ვიფიქრო. მინდა კარიერის ბოლო წლები ოჯახის კეთილმოწყობას მოვახმარო. დავოჯახდი, ივლისში ბავშვს ველოდები...

— **„ზოოვეტში" როგორღა მოხვდი?**

— კლუბის მეპატრონეებმა ქართლოს ჭუმბურიძემ და მიშა ტყავაძემ მთხოვეს, დაგვეხმარეო, კარგ ქალაქელ ბიჭებად ვიცნობ და უარი ვერ ვუთხარი, თანაც ჩემთვისაც სასარგებლოა სათამაშო პრაქტიკა. შარშანდელი შემოდგომიდან მოყოლებული „დინამოს" მწვრთნელთან იური სტადუხინთან ვემზადები.

— **„პრემიერამ" როგორ ჩაიარა?**

— „ზოოვეტში" კარგი, ნიჭიერი ახალგაზრდები ჰყავთ, მიკვირს, რატომ ვერ არიან პირველ ადგილზე. მე თავდასხმაში ვითამაშე და გოლების გატანის ჩვეულ იმტაზეც უმალ მოვედი. თუმცა, განაცდურმა თავისი ჰქნა — ოთხი საგოლე მომენტი გავაფუჭე.

— **ამ გუნდის მეორე ახალწვეულზე — დათო ნეფარიძეზე რას იტყვი?**

— დათომ მარცხენა ნახევარმცველად ითამაშა ისიც უთამაშებელია, მაგრამ ხომ იცი, კლასი მაინც კლასია — ერთი თავით მაღლა იდგა დანარჩენებზე.

— **უამრავი კლუბი გამოიცვალე. გერმანიაში სერიოზულად ფიქრობ დაფუძნებას თუ კვლავაც მალე გაგვაოცებ ჩვეული ვოიაჟით?**

— სხვანაირად არ გამიგო, მაგრამ მივეჩვიე კარგ ცხოვრებას — პროფესიონალის ცხოვრებას ვგულისხმობ, როცა მხოლოდ და მხოლოდ ფეხბურთზე ფიქრობ. ეს კი მარტო უცხოეთშია. აქ იმდენი რამე გადავიტანე, მივხვდი, რომ სანამ შემიძლია, მანამდე ვჭირდები ყველას, მერე ბევრი დამივიწყებს. ჰოდა, ნულა დამძრახავთ, თუ თვალი კვლავაც საზღვარგარეთისკენ მიჭირავს.

მამუკა კვარაცხელია

# თბილისურ ბარში ლუდიც ვსვი...

**თბილისში ყოფნისას გერმანიის ნაკრების ფეხბურთელები ხშირად ამბობდნენ — კარგი იქნება, ამ ქვეყანას თუ რამით დავეხმარებითო. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონთა თვითმფრინავის აფრენამდე გვქონდა იმედი, რომ კლინსმანთან ერთ „ჰუმანიტარულ“ ინტერვიუს მოვახერხებდით, მაგრამ სტუმართა დღის რეჟიმი ჩამოსვლამდე კარგა ხნით ადრე იყო შედგენილი და ცხადია, მასში „სარბიელთან“ საუბარი კლინსმანისთვის არავის დაუგეგმავს, პუნქტუალური ვარსკვლავიც წუთი-წუთ ასრულებდა განრიგს... მერე იყო ცნობა, რომ იურგენ კლინსმანი ინგლისში მოთამაშე საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. „უორლდ სოკერის“ მაისის ნომერში ქირ რედნიჯი თითქმის იგივე შეკითხვებს აძლევს „ტოტენჰემის“ თავდამსხმელს, ჩვენ რომ გვქონდა მომზადებული...**



**— თქვენ საკმაოდ კარგად იცნობთ ევროპულ და მსოფლიო ფეხბურთს, რადგან გერმანიაში, იტალიაში, საფრანგეთსა და ინგლისში უმაღლეს დონეზე გითამაშიათ. რას გვეტყოდით სტილთა შორის განსხვავებაზე?**

— სხვადასხვა ქვეყნის ფეხბურთის შედარება მეტად ძნელია, რადგან ყველას თავისი სტილი აქვს. ინგლისში ძალიან ღიად თამაშობენ, აქ შეტევა სისხლში აქვთ გამჯდარი, რაც შეიძლება მეტი მომენტი შექმნან. თამაშების ტემპი მაღალია. იტალიური სტილი ზედმიწევნით ტაქტიკური ორგანიზაციაა — სხვაგან ასეთი მაღალი დონე არსად მინახავს. მოთამაშეებმა მოედანზე თავიანთი მწყობრი მოქმედების დეტალებიც ზუსტად იციან და ეს ევროპულ შეჯიბრებებში მათი შედეგებიდანაც ჩანს. რაც შეეხება თამაშის რიტმს, ის ინგლისურსა და გერმანულზე დაბალია. ბუნდესლიგა სადღაც შუაშია. გერმანულ გუნდებს გარკვეული ტაქტიკური განათლება აქვთ, მაგრამ თვალი მაინც შეტევისკენ გაურბით. საფრანგეთში კი სულ სხვა რამ ხდება. ჩემს დროს იქ ყველა გუნდის მთავარი ამოცანა ის იყო, გოლი არ გაეშვათ, გატანას კი არ ჩქარობდნენ იმ იმედით, რომ საამისო მომენტიც დაუდგებოდათ. მე რომ საფრანგეთში ვთამაშობდი, მხოლოდ „პარი სენ-ჟერმენი“ და „მარსელი“ რისკავდნენ შეტევას.

**— ყველაზე მეტად რომელ სტილს მოერგეთ?**

— ინგლისური ყაიდა ახლა მართლაც მომწონს, რადგან მე, როგორც თავდამსხმელს, გოლების გატანა მსურს, ამისთვის კი ასეთი პარტნიორებია საჭირო, ბურთით რომ მოგამარაგებენ. ამ მხრივ „მონაკოში“ მეორე და „ინტერში“ მესამე წელიწადს პრობლემები მქონდა. უეცრად ჩემს გვერდით არ აღმოჩნდნენ თანაგუნდელები, რომლებიც პასს მომაწვდიდნენ, ამგვარად დავრჩი კარის წინ, გოლი კი ვერ გამქონდა. ასეთ დროს პუბლიკა გძრახავს, შენც საკუთარი თავის რწმენას კარგავ და საქმე ცუდიდან უარესისკენ მიდის. ახლა კმაყოფილი ვარ, რადგან გუნდში მყავს ტედი შერინგემი და ნიკ ბარმბი, რომლებიც შესაძლებლობისთანავე მაწვდიან ბურთს. ეს უდიდესი დახმარებაა.

**— ინგლისური სტილი, ანუ როდესაც ერთმანეთს ორი ინგლისური გუნდი ხვდება, ერთობ თავშესაქცევია, მაგრამ ევროტურნირების შედეგები გვარწმუნებს, რომ აქაურები ტექნიკურად და ტაქტიკურად გარკვეულად მოიკოჭლებენ.**

— თუ ინგლისელებს ფრანგებს და იტალიელებს შევადარებთ, აშკარაა, რომ ინგლისელები ტაქტიკურად მათ ვერ უტოლდებიან, მაგრამ უცხოელებთან თანაბრად თამაში სხვაგვარად შეუძლიათ. კარგი მაგალითია „ნიუკასლი“ და „ასტონ ვილა“. ერთსაც და მეორესაც უეფას თასის ამ გათამაშებაში ეშმაკობა არ ეყო, რომ „ტრაბზონსპორთან“ და ბილბაოს „ატლეტიკთან“ თამაში ჩაეკეტათ, არადა, კარგად ირჯებოდნენ. ეს ალბათ გამოცდილების საქმეა, რადგან ინგლისურ კლუბებს კარგა ხანს დისკვალიფიკაცია ჰქონდათ. დიდი მტკიცება არ უნდა; რომ თუ შინ 1:0 მოიგე, სტუმრად ღობე-ყორეს არ უნდა მოედო. სწორედ ამაში შეცდა „ნიუკასლი“. მატჩის შემდეგ კევინ კიგანმა თქვა, რომ სურდა მოედანზე გავარდნილიყო და თავისი ფეხბურთელები უკან ჩაეთრია. ასეთ თამაშებში სიმშვიდე უნდა შეინარჩუნო.

**— პირველად ცხოვრებაში გუნდის კაპიტანი გახდით, ეს გერმანიის ნაკრებში მოხდა. ადრე გიოცნებიათ ასეთ პატივზე?**

— მიოცნებია, ოღონდ დიდხანს ერთ კლუბშიც ვერ გავჩერდი და შესაბამისად ვერც კაპიტანი გავხდი. კაპიტნად ან ყველაზე გამოცდილ, ან ყველაზე დიდხანს ნათამაშებ ფეხბურთელს ირჩევენ. მე კი, როგორც კი საქმე აქამდე მიდიოდა, გუნდს ვტოვებდი. მე რომ „ინტერში“ დავრჩენილიყავი, ვფიქრობ, კაპიტნობასთან უკვე ახლოს ვიქნებოდი. რაც შეეხება გერმანიას, აქ საქმე სხვაგვარად არის: შენი ეროვნული გუნდისთავობა აშკარად უდიდესი, რაღაც განსაკუთრებული სიამოვნებაა. ვიცი, რომ გერმანიის კაპიტანი მხოლოდ მათეუსის გამოჯანმრთელებამდე ვარ.

**— კაპიტნობისას რაიმეს განსხვავებულს აკეთებთ?**

— ერთი მხრივ, მწვრთნელთან უფრო ახლოს ხარ, მასთან მთელ რიგ საკითხებს იხილავ, გაცილებით მეტს, ვიდრე გუნდის ჩვეულებრივი წევრობისას. შემდეგ მფარველობა უნდა გაუწიო ნაკრების დებიუტანტებს, უნდა დარწმუნდე, რომ გუნდში საბრძოლო განწყობაა და თუ ვინმეს რაიმე პრობლემა აქვს, მისი დახმარებაც გევალება. ასეთს გულითადად უნდა ესაუბრო და შემდეგ მწვრთნელს ურჩიო, რა ქნას, უმთავრესია, ყველა თანაგუნდელს აგრძნობინო, რომ იგი მეტად საჭიროა. მაგალითად საქართველოს წინააღმდეგ თომას ჰესლერთან გვქონდა ასეთი შემთხვევა მას, ნაკრების ყველა უდიდეს შეჯიბრებაში ერთ-ერთ წამყვან მოთამაშეს, რომელსაც უკვე 60 თამაში მოუგროვდა, ახლა მძიმე პერიოდი უდგას. სწორედ კაპიტნის ვალია ამის შესახებ მწვრთნელს უთხრას, რათა მან თავის მხრივ ფეხბურთელი დაამშვიდოს და აუხსნას, რომ მისი ცუდ ფორმაში ყოფნა მხოლოდ დროებითია.

**— კარიერაში საუკეთესო კაპიტანი ვინ შეგხვედრიათ?**

— ძნელია პასუხის გაცემა, რადგან სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა მენტალიტეტი აქვთ. იტალიაში კაპიტნობა სხვაა, გერმანიაში კი სხვა, მაგრამ მაინც გავიხსენებ „შტუტგარტს“, სადაც გუნდის თავი ისლანდიელი ასგეირ სიგურვინსონი იყო, რომელსაც უდიდეს პატივს ვცემდი. იგი ძლიერ მშვიდი ფეხბურთელი და დიდებული გამთამაშებელი იყო. მასთან ხუთი წლის მუშაობაში ბევრი რამ ვისწავლე, ოღონდ უმეტესად როგორც მოთამაშისგან და არა კაპიტნისგან. ფეხბურთელს ხომ მხოლოდ სამკლაურის გამო არ აფასებ.

**— თქვენ ოთხ ქვეყანაში ითამაშეთ. სხვადასხვა ქვეყნებში ცხოვრება თავისთავად ისევე მნიშვნელოვანია თქვენთვის, როგორც თამაში?**

— უცხოეთში წასვლა ყოველთვის მინდოდა. 15 თუ 16 წლისამ ევროპაში ვიმოგზაურე, 18-ისა კი პირველად ჩავედი ამერიკაში. მუდმივად მხიბლავდა სხვადასხვა ცხოვრების წესის გაცნობა და რა გასაკვირია, რომ ერთ დღეს, როდესაც უცხოეთში სამუშაოდ წასვლის საშუალება მომეცა, არ დავაყოვნე. ფაქტობრივად „ინტერში“ გადასვლამდე ორი წლით ადრე, 1988-ში შემეძლო უცხოეთში წასვლა, მაშინ „მონაკოს“ ვუნდოდი, მაგრამ ვინაიდან ნაკრების წევრი არ ვიყავი, „შტუტგარტმა“ ცივი უარი მითხრა, ალბათ, ჩემს გაძვირებამდე უნდოდათ დავეტოვებინეთ. მაშინ კარგად თამაში დავიწყე და ხალხი სეზონის დასაწყისშივე მარჩიელობდა, ბოლოს დავრჩებოდი თუ წავიდოდი, მაშინ ჩვენი მწვრთნელი არი ჰაანი იყო. მან პირდაპირ თქვა: „ეჭვი არ არის, რომ ეს ბიჭი სეზონის ბოლოს დაგვტოვებს“. ამ ფრაზის მერე ლოგიკურად ელი, რომ იტყვის, ოღონდ ჩვენ გვინდა იგი შევინარჩუნოთო. სანაცვლოდ მან თქვა: „იგი ვალდებულია წავიდეს, მე მგონი მას თავად უნდა გამოცდილების მიღება“. ამგვარად, ფეხბურთმა მომცა საშუალება შევხვედროდი სხვადასხვა ხალხს, მესწავლა სხვადასხვა ენები. დასაწყისში ამდენ სირთულეს არ ველოდი, მეგონა ევროპა მაინც ევროპა იყო. მანქანით მთელ ევროპას მოივლი და გერმანიაში მალევე დაბრუნდები, მაგრამ იტალიაში ჩასული მივხვდი, რომ ხალხი ისე უნდა მიიღო, როგორიც არის და არა ისეთი, როგორიც შენ გინდა რომ იყოს. ჩვენ, გერმანელებს, ყოველთვის გვსურს სრულყოფილები ვიყოთ და სხვისგანაც ამას ვითხოვთ. მაგალითად, იტალიაში ვინმეს ორ საათზე უნდა შეხვდე, ის კი ოთხზე მოვიდა, შენ გაბრაზებული ხარ, ის კი გეკითხება „რამ შეგაწუხაო“. ნელ-ნელა ხვდები, რომ გერმანიაში არა ხარ, იწყებ სხვების ადათის პატივისცემას და თავად იცვლები.

**— „როცა რომში ხარ, რომაულად მოიქეცი“?**

— ეგრეა. თუ არადა, ვერ გადარჩები და ვერაფერს მიაღწევ. იცით, მე კიდევ ორ ან სამ წელიწადს ვითამაშებ, მეტს არა, და ახლა უკან რომ ვიყურები იმას კი არ ვიხსენებ, სად რამდენი გოლი გავიტანე, არამედ იმას, რომ სხვადასხვა ქვეყნებში ვცხოვრობდი, ვისწავლე ენები. არა, ბრწყინვალედ სულაც ვერ ვლაპარაკობ ამ ენებზე, უბრალოდ კარგად ვსაუბრობ, ეს დიდი კმაყოფილებაა, ასეთი რამეები შინაგანად მამდიდრებს.

**— სხვა ქვეყნებშიც ხომ არ გინდათ თამაში?**

— ყველა ქვეყანაში ვერ ითამაშებ. ქვეყანა უამრავია. ორჯერ მქონდა ესპანეთში, მადრიდის „რეალში“ თამაშის შანსი. პირველად, 89-ში, „ინტერი“ ვარჩიე, რადგან იქ ორი გერმანელი, მათეუსი და ბრემე გამოდიოდა და ტურინი შტუტგარტთან, ანუ სახლთან უფრო ახლოს იყო. სახლთან სიახლოვის შეგრძნება ძლიერ მნიშვნელოვანი იყო, რადგან ოჯახი და მეგობრები ჩემთვის ძლიერ ბევრს ნიშნავს. მაშინ მანქანით ოთხ-ხუთსაათიანი მგზავრობა მერჩივნა თვითმფრინავით მადრიდში ჩაფრენას. მეორედ, 92-ში, „რეალის“ მწვრთნელი ლეო ბეენჰაკერი იყო და ის მითანხმდებოდა, მაგრამ სამსახურიდან გაუშვეს და მეც "პარი სენ-ჟერმენსა“ და „მონაკოს“ შორის უკანასკნელი ვარჩიე.

**— ერთხელ თქვით, გერმანიაში სათამაშოდ აღარ ჩავალო. ხომ არ თვლით, რომ ახლა შეიძლება აზრი შეიცვალოთ და კარიერა ბუნდესლიგაში დაასრულოთ?**

— ძნელი სათქმელია... თქვენ ალბათ გაზეთებში წაიკითხეთ, რომ „ბაიერნმა“ მითხრა, თუკი ოდესმე დაბრუნდები, საერთო ენას გამოვნახავთო. ფეხბურთში ყველაფერი შესაძლებელია. ერთ დღეს რომელიმე დიდი გუნდიდან ვინმე დაგირეკავს და ამაზე ფიქრს იწყებ. და მაინც, ბუნდესლიგაში ჩემი დაბრუნება ნაკლებსავარაუდოა.

**— ნაკრებებზე საუბარი დავიწყოთ. რას ელით ინგლისის ევროპის ჩემპიონატიდან?**

— დარწმუნებული ვარ, რომ პრობლემები არ იქნება. ის რაც დუბლინში მოხდა, ყველასთვის შოკი იყო, მაგრამ რომ დავუფიქრდეთ, ვნახავთ, რომ დუბლინში არც ღობე იყო მოედნის ირგვლივ და არც იქაური პოლიცია იყო მზად ნეონაცისტების მოსაგერიებლად. ასე დაიწყო აყალმაყალი, რომელიც მთვრალ გულშემატკივრებსაც გადაედო. ევროპის პირველობა კი, მწამს, რომ კარგად ორგანიზებული იქნება. მე შევამჩნიე, რომ აქ ქომაგები საოცრად ორგანიზებულნი არიან. ასეთი ქომაგები არც გერმანიაში მინახავს. არც იტალიაში და საფრანგეთში. თან ახლა ღობეები აღარ არის, შეიძლება კაცმა იფიქროს, გულშემატკივრების ასე ახლოს ჯდომა საშიშიაო, მაგრამ ასე არ არის. თავს უსაფრთხოდ ვგრძნობ. მსიამოვნებს, ბურთი აუტში რომ გადავარდება, გაიხედავ და პირველ რიგში ბავშვები სხედან: თვალები დაუჭყეტიათ და გიღიმიან, აშკარად ბედნიერნი არიან. ამიტომაც მგონია, რომ ევროპის ჩემპიონატზე პრობლემა არ გვექნება, თუმცა კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო, მტრები ყოველ ნაბიჯზე არიან, ფეხბურთი მედიის და ხალხის ისეთ ყურადღებას იპყრობს, რომ ვიღაც შერეკილებს ასეთი თავყრილობების გამოყენება რომ სურთ, ვერასდროს მოიშორებ თავიდან.

**— ხალხის და მოთამაშეების თემასთან დაკავშირებით... კანტონას ინციდენტზე რას იტყვით?**

— ხომ გახსოვთ, კანტონას ყოველთვის თავის ხელში აყვანა. ხალხი ასეთ რამეს ამჩნევს და ამაზე თამაშს იწყებს. გასვლით თამაშებში მაყურებელი მის წყობიდან გამოყვანას ცდილობს. იმ დღეს კი კანტონა ისეთი დანაშაულისთვის გააძევეს, რომელიც მე მგონი წითელ ბარათს არ იმსახურებდა. როდესაც მოედნიდან გადიოდა, ერთმა ქომაგმა იგი საშინლად შეურაცხჰყო და აქ მოთმინების ფიალა აევსო. მე კანტონასაც ვადანაშაულებ, მაგრამ პუბლიკაც ბრალეულია. ფეხბურთელებს ასე არ უნდა ეთამაშებოდნენ.

**— „ინტერის“ პრეზიდენტი რომ იყოთ, კანტონას ყიდვას ეცდებოდით?**

— ჩემთვის კანტონა საყრდენი თავდამსხმელია. იგი არ არის ის 9 ნომერი, რომელიც ერთთავად საჯარიმოში წაქცევას ცდილობს. ვიცი, თქვენ ალბათ ფიქრობთ, იგი იტალიურ წესებზე რა რეაქციას მისცემსო, მაგრამ ჩემთვის მთავარი ტექნიკაა. ჩემი და ალდო სერენას წასვლის შემდეგ „ინტერს“ მუდმივად ჰყავს ორი მეორე თავდამსხმელი, ხოლო ნამდვილი ცენტრფორვარდი აკლია. ასე რომ, თუ კანტონას აიყვანენ, არ შეცდებიან. იგი შეძლებს იტალიაში წარმატების მიღწევას.

**— ინგლისურთან შედარებით იტალიური მედიის ზეწოლაზე რას იტყვით?**

— სხვანაირია. იტალიაში ყოველდღე გამოდის სამი სპორტული გაზეთი, რომელთაც გვერდების გავსება სჭირდებათ. ინგლისში ის პრობლემა გაქვთ, რომ გამოდის შვიდი თუ რვა ბულვარული გაზეთი, ისინი ცდილობენ მოედანსმიღმა ამბების დაწერას და კანტონას ისტორია მათთვის მისწრება იყო. მათ დაუწყეს ფეხბურთელს დევნა და თვალთვალი, რომელიც სტადიონის ფარგლებს გასცილდა. თავიდან ორი თვე მეც იგივე პრობლემა მქონდა. მათ ყველა ქუჩის კუთხეში ვხედავდი და მივხვდი, რომ ჩემი პირადი ცხოვრება უფრო აინტერესებთ, ვიდრე თამაში.

**— იტალიაში რაღა ხდება?**

— იტალიაში ვარჯიშზე ყოველდღე გესწრებიან ტელევიზიის, რადიოსა და პრესის ჟურნალისტები და თუ მათთვის 15-20 წუთს გამონახავ, ყველაფერი რიგზეა. მათ მოედნის გარეთ არაფერი აინტერესებთ. სახლში არასდროს გირეკავენ. ინგლისელები კი მალიზიანებენ, თუმცა ორი წელიც რომ მსდიონ, ვერაფერს მიპოვიან. ერთხელ დავაკვირდი და ვნახე, რომ ისინი შედიოდნენ იმავე მაღაზიებში, სადაც მე გამოვდიოდი და გამყიდველებს თუ ხალხს ეკითხებოდნენ — რა ვთქვი ან რა ვიყიდე. ერთხელაც გამყიდველს ვუთხარი, ეხლა აქ კამერიანი ბიჭები შემოვლენ და ჩემზე გკითხავენ. თქვენ კი გადაეცით, რომ მე მათ პროფესიონალიზმს პატივს ვცემ, მაგრამ მეც ასეთივე პროფესიონალი ვარ და ვიცი, რომ მათთვის უკეთესი იქნება, თუ თავს დამანებებენ, რადგან ჩემს დევნაში ფული ეხარჯებათ-მეთქი, ეს იყო და ეს.

**— გერმანიის ნაკრების საქართველოში სტუმრობისას, პირველად ბოლო ცხრა წლის განმავლობაში, ჟურნალისტები და გუნდი ერთ სასტუმროში იყავით. როგორ იმოქმედა ამან?**

— თამაშის შემდეგ მათთან ერთად ბარში ლუდი ვსვით. ვფიქრობ ეს ჟურნალისტებისთვის საინტერესო იყო. გერმანიაში ჟურნალისტთა შორის კონკურენციამ მათ ბევრი ნორმალური წესიდან გადაახვევინა. არადა მოთამაშეთა უმრავლესობა სიამოვნებით ისაუბრებდა რეპორტიორებთან თამაშის შემდეგ, თუკი ეცოდინებათ, რომ ნორმას არაფერი გადაცდება. ინგლისური პრესა სხვანაირია. თავიდან, ახალჩამოსული, სასტუმროში ვცხოვრობდი და ყოველდღე წერილები მხვდებოდა, სადაც ექსკლუზიურ ინტერვიუს მთხოვდნენ. მთავაზობდნენ ასე, 25-30 ათას გირვანქას, ოთხ ან ხუთ ინტერვიუში.

**— მედიის გარდა ევროპის ჩემპიონატზე გერმანიის ნაკრებს რა ემუქრება?**

— ჯერ შესარჩევ ჯგუფში უნდა გავიმარჯვოთ, შემდეგ კი ვის შევხვდებით, ხულერთია, რადგან მთელი ერი გიყურებს და დაძაბულობა ყველა მეტოქესთან ერთიდაიგივეა. ბულგარელი ბიჭებისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, უნდა გითხრათ, რომ მათთან მსოფლიოს ჩემპიონატზე საკუთარი მიზეზით წავაგეთ, 1:0-ზე მოვეშვით, არადა ნორმალურად რომ გაგვეგრძელებინა, ნახევარფინალში იტალიას ჩვენ შევხვდებოდით.

**— იურგენ კოლერი ევროპის პირველობის შემდეგ ნაკრებისთვის თავის დანებებას აპირებს. იგი თქვენი ხნის არის. თქვენც მიატოვებთ ნაკრებს?**

— სანამ შემიძლება, ნაკრებში ვიქნები. ეს ხომ [illegible]

**— ევროპის ჩემპიონატამდე ერთი წელი დარჩა. [illegible] გუნდის განწყობა როგორია?**

— შარშანდელთან შედარებით რაღაცეები შევცვალეთ. გუნდში დიდი ხნის განმავლობაში ერთიდაიგივე შემადგენლობა იყო, ახლა ახალი ფეხბურთელები ავიყვანეთ, რომელთაც დრო სჭირდება.

**— ბულგარელებთან მარცხი კვლავ გაღელვებთ?**

— არა, მაგრამ ძლივს დავივიწყე, რადგან მსოფლიოს ჩემპიონატისთვის დიდი ხანი ვემზადებოდი. მე, მაგალითად, სასტუმროში ვერ ვჩერდები. უნდა გავიდე, ხალხი გავიცნო, მაგრამ დიდ შეჯიბრებებზე ყველაფერს ვწირავ.

ბელგიელებთან დიდი მატჩი გვქონდა და მაშინ ვიფიქრე, ყველაფერი რიგზეა მეთქი. მე რომ კაპიტანი ვყოფილიყავი, მათეუსისგან განსხვავებულს არაფერს მოვიმოქმედებდი.

ვიცოდი, რომ გერმანია ტურნირებს ყოველთვის ძნელად იწყებს, მაგრამ შემდეგ უმატებს და უმატებს. შეადარეთ 1990 და 1994, შარშან ჩვენ იღბალმა ზურგი შეგვაქცია, მაგრამ ამას ვიმსახურებდით.

**— თქვენი კარიერის მანძილზე როგორ შეიცვალნენ ფეხბურთელები?**

— ბოლო 12-13 წელიწადში ისინი უფრო პროფესიონალები გახდნენ. ჯერ ერთი, პრესის როლის გაზრდამ იმოქმედა, მეორეც, საკუთარ ჯანმრთელობას მეტად უყურებენ. ადრე 30 წლის მოთამაშე ვეტერანი იყო, ახლა 35 წლამდე იოლად თამაშობენ. გაიზარდა პასუხისმგებლობაც. იტალიასა და გერმანიაში საშინაო თამაშებზე დღესაც შეკრებებია, მაგრამ ჩემი აზრით მოთამაშეებს ეს აღარ სჭირდებათ. თანამედროვე ფეხბურთელს შეცდომაზე მიუთითე და აღარ გაიმეორებს, თუ გაიმეორა, სახლში გაუშვებ და მორჩა. ჩემთან ახალგაზრდები მოდიან და მეკითხებიან: „იურგენ, რითი იკვებები?“ ეს იმას ნიშნავს, რომ მათ სწორი კვების სწავლა ანუ პროფესიონალობა სურთ.

**— ფეხბურთელთა ასეთ თაობასთან მიუნხენის „ბაიერნში“ ტრაპატონის ამდენი პრობლემა რადა აქვს?**

— ტრაპატონის თავის უკეთ გამოხატვა სჭირდება. რაც დრო გადის, მას საქმე უკეთ მიუდის, რადგან გერმანულად ცოტათი უკვე ლაპარაკობს. მე მიხარია, რომ მან „ბაიერნთან“ მუშაობა გარისკა. მისი რეპუტაციის კაცი საზღვარგარეთ წასვლას ვერ გარისკავდა. თუმცა პრობლემებიც აუცილებლად ექნება. როგორც გითხარით, უცხოეთში ხალხს ვერ გამოცვლი. ტრაპატონის სურს, გერმანულ გარემოზე გავლენა მოახდინოს, მაგრამ მალე მიხვდება, რომ ასეთი რამ არ გამოუვა.

**— ოდესმე ვნახავთ იტალიელ ფეხბურთელებს საზღვარგარეთ?**

— არა, რადგან თავს სახლში მშვენივრად გრძნობენ. ასეთი იტალიელი ერთადერთხელ ვნახე. გერმანია და ინგლისი ფინანსურად რომც გაძლიერდნენ, სიტუაციას ვერ გამოცვლიან.

**— ინგლისს დავუბრუნდეთ. ფეხბურთის ასოციაციის თასი რას ნიშნავს თქვენთვის?**

— ბევრს. ყველამ იცის ექვსი ქულის დაკლებისა და თასზე თამაშის აკრძალვის ამბავი. დეკემბერში კი უცბად გადაწყვიტეს, რომ „ტოტენჰემს“ თასზე თამაშის უფლება და ქულები დაუბრუნონ. მაშინ მივხვდი, ინგლისში ეს თასი რად უღირთ. გუნდის ირგვლივ ატმოსფერო უეცრად შეიცვალა. ჯერ მეგონა, რომ პირველი თამაში ქვედა ლიგის გუნდთან გასვლაზე იმიტომ გვქონდა, რომ ასეთი წესი იყო, მაგრამ შევცდი. მეორედ მაშინ შევცდი, როცა ვიფიქრე, მატჩს სულ ერთი-ორი ათასი კაცი დაესწრება მეთქი, მაგრამ ყველა ბილეთი გაყიდული დამხვდა. იგივე მოხდა შემდეგ რაუნდშიც და მივხვდი, რომ ფეხბურთის ასოციაციის თასი ხალხისთვის ჩემპიონატზე მნიშვნელოვანია.

**— არდილესის ნაცვლად მწვრთნელად გერი ფრენსისის დანიშვნას როგორ შეხვდით?**

— ზოგ თამაშში იღბალი რომ ჰქონოდა, მწვრთნელი დღესაც არდილესი იქნებოდა. ის თამაშები ტაქტიკური კი არა, ინდივიდუალური შეცდომების გამო წავაგეთ. ოსვალდო დიდი პიროვნებაა, მწვრთნელი, რომელიც თამაშის ყველა ასპექტში ჩარევას ლამობს და პრობლემებს ღიმილით ხვდება, გერი ფრენსისი კი მკაცრი ხასიათის პატრონია და მყისვე შეიმუშავა, თუ რა უნდა ვკეთოთ საქმის გამოსასწორებლად.

თარგმნა
პაპუნა კეღიაშ

გია ახალაძის
ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

| საქართველოს ჩემპიონატი. ფინალი. III მატჩი<br>ვითა — კაქტუსი 84:77 (47:42) სერია 2:1<br>თბილისი. სპორტის სასახლე. 3 მაისი. 9 000 მაყურებელი<br>მსაჯები: გ. ავალიშვილი, მ. ქურიძე | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვითა | ქულა | მოხსნა | პასი | ჩაჭრა | დაფ. არ. | საჯარიმო სულ | საჯარიმო + | ფოლი |
| 9 ჩერქეზიშვილი | 3 | — | — | — | — | 2 | 1 | 1 |
| 10 დადიანი | 18 | 3 | 1 | 2 | — | 6 | 6 | 2 |
| 8 სანაძე | 17 | 6 | — | 2 | — | 4 | 4 | 3 |
| 5 ბაქრაძე | 2 | 4 | — | 1 | — | 1 | — | 4 |
| 12 ბეჟანიშვილი | 5 | 9 | — | — | — | 2 | 1 | 2 |
| 4 ი. ვაშაკიძე | 17 | 6 | 6 | 2 | — | 4 | 3 | 4 |
| 6 კობეშავიძე | 10 | — | — | — | — | — | — | 2 |
| 20 ორმოცაძე | 12 | 8 | — | 1 | — | — | — | 2 |
| 7 ტურაშვილი | — | 1 | — | — | — | — | — | 2 |
| სულ | 84 | 37 | 7 | 8 | — | 19 | 15 | 22 |
| კაქტუსი | ქულა | მოხსნა | პასი | ჩაჭრა | დაფ. არ. | საჯარიმო სულ | საჯარიმო + | ფოლი |
| 4 თორთლაძე | 12 | 1 | 2 | 3 | — | 8 | 5 | 5 |
| 12 აბრამიძე | 4 | 1 | — | — | — | — | — | — |
| 15 ჩხეიძე | 14 | 3 | — | — | — | 8 | 6 | 5 |
| 13 ვ.ნაცვლიშვილი | 19 | 16 | 2 | 1 | 3 | 4 | 2 | 3 |
| 14 ბერძენიშვილი | 5 | 8 | — | — | 2 | 2 | 1 | 2 |
| 7 ხოშტარია | 13 | 2 | — | 1 | — | 2 | 1 | 2 |
| 6 ყლენტი | 7 | 2 | 1 | 2 | — | 1 | — | 2 |
| 11 ოთიურიძე | 3 | 5 | — | — | — | 3 | 1 | 1 |
| სულ | 77 | 38 | 5 | 7 | 5 | 28 | 16 | 20 |





# «ვითას» სცოდნია, როდის მოიგოს!

დავა, რომელიც მატჩის შემდეგ დაიწყო გულშემატკივრებს შორის, უეჭველია, იქამდე გაგრძელდება, სანამ სუპერფინალთან დაკავშირებული ვნებები არ დაცხრება. ერთნი ამტკიცებდნენ: უსამართლობაა, ერთმა გუნდმა სეზონში ხუთჯერ მოუგოს მეორეს, ამან კი მხოლოდ ორჯერ სძლიოს და ჩემპიონი გახდესო. ამ აზრში ლოგიკის მარცვალი იქნებ მართლაც ერიოს, მაგრამ განა ეს „ვითას" პრობლემაა? ამის გამო ალბათ არ შეიძლება გუნდის ღირსების დაკნინება. ბოლოსდაბოლოს, ჩემპიონმა სწორედ ის მატჩები მოიგო, რომელთა მოგება აუცილებელი იყო. პრობლემა სულ სხვაა. ეს გახლავთ გუშინწინ დასრულებული ნაცოდვილარი, გაოხრებული ჩემპიონატი და მისი უაზრო დებულება; ასევე უაზრო „ორ მოგებამდე" სუპერფინალით, რომელიც ყოვლმხრივ წამგებიანია და ორი აზრიც არ არის, გადასასინჯია.

იმაზეც დიდხანს იდავებენ, მსაჯებს ოთიურიძისთვის შეტევაში საეჭვო ჯარიმა რომ არ მიეცათ, შემდეგ კი ბერძენიშვილის ნაცვლად ჩხეიძე რომ არ დაეჯარიმებინათ (რის გამოც ამან დამთავრებამდე 6 წუთით ადრე მოედანი დატოვა), „კაქტუსი" ნაღდად იძალებდაო. შეიძლება ასეც იყოს, შეიძლება — არა. ვარაუდებს რა დალევს! ჩვენ არბიტრების განსჯას არ ვაპირებთ, ერთს კი დავძენთ: მსაჯს რაც საჭიროდ მიაჩნია, იმას დააფიქსირებს, ამიტომაა მსაჯი. ასეთია სპორტის ულმობელი კანონი. მიდი მერე და სდიე, მართალი იყო, თუ — არა. თუმცა, ამას დღეს მნიშვნელობა უკვე აღარა აქვს. ფაქტი ერთია: „ვითა" ჩემპიონია! დამსახურებული ჩემპიონი, რომელმაც მაშინ იმარჯვა, როცა ყველაზე მეტად იყო საჭირო! პირველად საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში გუნდმა მოიგო ისეთი სუპერფინალური სერია, რომელშიც პირველი მატჩი წააგო.

„ვითამ" წინა მატჩის ხუთეული უცვლელი დატოვა. სამაგიეროდ, „კაქტუსმა" ხოშტარიას ნაცვლად აბრამიძე გამოიყვანა და გამთამაშებლობაც დაავალა. ამით „შტატიანი" გამთამაშებელი — თორთლაძე შედარებით გამოთავისუფლდა, რაც სამქულიანის სასროლ პოზიციაზე გასვლის მცდელობით გამოიხატა. დებიუტშივე მან მიზანს მიაღწია. ნაცვლიშვილმა ჩერქეზიშვილს დაუფარა და თან სანაძის მეურვეობასაც არ ივიწყებდა. ეს უკანასკნელი და დადიანი, შორიდან სროლის საშუალება რომ მოესპოთ. საშუალო მანძილებზე გადავიდნენ და შედეგიანადაც. აბრამიძე კი მაშინაც გამთამაშებლად დარჩა, როცა ჩხეიძის ნაცვლად ხოშტარია შემოვიდა და მათ გუნდში სამი უკანახაზელი (!) აღმოჩნდა. მამუკამ კარგად მოირგო ახალი ამპლუა: ორჯერ თავად შეუტია, პასებც გონივრულად გაანაწილა და ჩერქეზიშვილიც დააჯარიმა. სიმაღლის დეფიციტმა ნაცვლიშვილი დატვირთა — ახლა ფარზე ჩხეიძის გასაკეთებელიც მას უნდა ეტვირთა და თან თავისი საქმისთვისაც მიეხედა. ბაქრაძეს სამი პერსონალურიც აჰკიდა, მაგრამ დადიანს კი ველარ გაუმკლავდა, თუმცაღა, ეს ვითელი მისი დასაჭერი სულაც არ იყო.მოულოდნელად ლიპარტელიანმა დადიანი ვაშაკიძით შეცვალა — შეტევას დაცვის გაძლიერება არჩია და ვაშაკიძის გამოჩენაც სწორედ ამის მანიშნებელი იყო. მისი გამოჩენა და „ვითას" დაცვის პერსონალურ სისტემაზე გადაწყობა ერთი იყო. ამან კი ის მოიტანა, რომ მეათე წუთზე ანგარიში გათანაბრდა — ჩემპიონი წამოეწია დაწინაურებულებს. თანაფარდობა მცირე ხნით შენარჩუნდა — „ვითაში" კობეშავიძე გამოჩნდა და ჯერ ფლანგიდან, ხოლო შემდეგ სამქულიანიდან თავისიანები 28:25 დააწინაურა.

ჩხეიძე და ნაცვლიშვილი ცოტა ხნით დასხდნენ დასასვენებლად, მაგრამ უკან დაბრუნებულებმა არეული დაცვის დარაზმვა ველარ მოახერხეს. ვაშაკიძე თავისუფლად დაძვრებოდა კაქტუსელებს შორის, ხოლო დადიანი რამდენჯერმე უპატრონოდ მიატოვეს და ამანაც შანსი არ დაკარგა. ამ დროისთვის „ვითას" ერთადერთი საჯარიმო ჰქონდა გაცუდებული, „კაქტუსი" კი ყოველი ორი საჯარიმოს პირველ სროლას აუცილებლად აფუჭებდა. სხვაობა 7 ქულამდე გაიზარდა.

კაქტუსელთაგან პირველი ნაცვლიშვილი გამოერკვა, რომელსაც, ეტყობა, მობეზრდა სხვის იმედად ყოფნა და ჯერ სამქულიანი ჩააგდო, მერე კი სანაძის „მალაკოს" შემდეგ ბურთი აიღო და თორთლაძე მონახა — 42:40. თითო ბურთის გაცვლის შემდეგ ბეჟანიშვილმა ერთი საჯარიმო გამოიყენა. ტაიმის ბოლომდე 33 წამი რჩებოდა. „კაქტუსი" დიდხანს ამზადებდა ბოლო იერიშს, მაგრამ ვერავინ გარისკა. საბოლოოდ, ბურთი აცდა და ორმოცაძემ იქეთ ჩააგდო.

შესვენების შემდეგ „კაქტუსის" მწვრთნელებმა არაერთხელ მოსთხოვეს და მოუწოდეს თავისიანებს ბერძენიშვილზე პასებით თამაში. შეგირდებმა დაუჯერეს, მაგრამ გუშინწინ დათოს დღე არ იყო. ჯეელ უენტრს მოთელვაზეც, მოედნის გარედანაც ეტყობოდა, მეტად რომ ღელავდა და ბევრი მარტივი ბურთიც გააფუჭა. მისი განწყობა თანაგუნდელებსაც გადაედოთ, ხოლო „ვითას" ხომ მეტი არაფერი უნდოდა. დადიანი კვლავ ზუსტი იყო, სანაძემ კი მრავალგზის აცდენის შემდეგ სამქულიანით 68:55 გახადა ანგარიში. მაგრამ მატჩის გმირი სულ სხვა იყო — ირაკლი ვაშაკიძე. დაცვას თავი რომ დავანებოთ, მან ორი ისეთი სამქულიანი ჩააგდო, ფსიქოლოგიურად და მატერიალურად გადამწყვეტად რომ წაადგა ჩემპიონს. დარტყმა იმდენად მძიმე იყო, რომ თვით თორთლაძეც შედრკა და ორი საჯარიმო ააცილა. ასეთი რამ, პირადად მე, არ მახსოვს. დათოს პრესტიჟის აღდგენა, რაც შეიძლება, მალე სურდა, ამიტომაც მყისვე გამოფხიზლდა და ჯერ თავად ჩააგდო, შემდეგ კი ყლენტს სამქულიანი გაუხერხა. ანგარიში 70:64 გახდა. აქ კი დასაწყისში ნახსენები ამბები მოხდა ოთიურიძის, ჩხეიძისა და ბერძენიშვილის მონაწილეობით...

„კაქტუსი" თითქოს მოიშალა, რაც თორთლაძის ერთ აცდენილ საჯრიმოშიც აისახა, ორმოცაძემ კი წინააღმდეგობის გარეშე დაამატა — 76:69. ჩამორჩენილებს კიდევ აქვთ შანსიც და დროც, მაგრამ ხოშტარია უეცრად აჩქარდა და ერთ შეტევაში ორჯერ გაარტყა ბურთი რგოლს. სამაგიეროდ, იმავე თორთლაძემ არცერთხელ არ იჩქარა საჯარიმოს ხაზიდან. „ვითამ" შეტევა ჩააფლავა. დადიანის ნასროლი ნაცვლიშვილმა მოხსნა და ბურთი ხოშტარიას გაატანა. ამან თუმცა ვერ ჩააგდო, სამაგიეროდ, დადიანი დააჯარიმა, ოღონდ, ორიდან ერთი სროლა გამოიყენა. ამის შემდეგ, დამთავრებამდე 1,55 წუთით ადრე, ყლენტი თავზედურად შეიჭრა სამწამიან ზონაში და სხვაობა ორ ქულამდე შეამცირა 74:76. ასეთ დროს ნებისმიერი მოთამაშე შეიძლება დაიბნეს, ოღონდ არა გია სანაძე. მას სულ 19 წამი დასჭირდა სიტუაციის მოსაწესრიგებლად: სადღაც ჯანდაბიდან იმისთანა სამქულიანი ჩააგდო, მგონი თავადაც გაუკვირდა.

სირენამდე 1,05 წამი. „კაქტუსმა" წუთშესვენება აიღო, რომლის შემდეგაც ვაშაკიძემ, თითქოს რუსთაველზეაო, ისე გაისეირნა და ნელი გარღვევით ტაბლოზე 81:74 დააწერინა. დამთავრებამდე 13 წამით ადრე ხოშტარიას სამქულიანი რაღაც ღია კარის შემტვრევის მსგავსი გახლდათ. საქმეს აღარაფერი ეშველებოდა. კაქტუსელებმა საჯარიმოებიც სიმბოლურად აიკიდეს, რომელთაგან დადიანმა ორი, ხოლო ვაშაკიძემ ერთი გამოიყენა. მატჩი დამთავრდა თუ არა, მოედანზე „ვითას" მაისურიანი ვიღაც მოხალისე ჯამბაზ-აკრობატი გამოვიდა, რამდენიმე მალაყის შემდეგ ცენტრში აღმოჩნდა და უზრდელური ჟესტიც გააკეთა. მისი ბედი, რომ კაქტუსელებს მოედანი უკვე დატოვებული ჰქონდათ. გამარჯვებულმა ვითელებმა კი ჯერ თავიანთი პატრონი თემურ დათიკაშვილი აბურთავეს, მერე მწვრთნელი ლიპარტელიანი, ბოლოს კი შამპანურები გახსნეს, რომელთა ნაწილი სხეულებში ჩაუშვეს, ნაწილი — იატაკზე დააქციეს, ნაწილითაც ერთმანეთი გაწუწეს.

ასე მხიარულად და ეფექტურად დასრულდა მეოთხე ეროვნული საკალათბურთო საცოდაობა, მაპატიეთ, ჩემპიონატი. ქართულმა კალათბურთმა ამ შეჯიბრის ისტორიაში შეტანით კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა უკან.

გეთანხმებით, მძიმე სიტყვებია, დასაბუთებაც უნდა, და რადგან დღეს ერთგვარად უადგილოცაა, ცალკე საუბრის თემად მოვიტოვოთ, რამ გვათქმევინა ეს ყოველივე.

მერაბ რატიშვილი

გია ახალაძის ფოტოები



ამროსი ორმოცაძე



ირაკლი ვაშაკიძე



დუდუ დადიანი

## NBA. ფლეი-ოფი. პირველი წრე (3 მოგებამდე)

 აღმოსავლეთი

ორლანდო — ბოსტონი 1:1 (124:77, 92:99)
ინდიანა — ატლანტა 3:0 (90:82, 105:97, 105:89)
ნიუ-იორკი — კლივლენდი 2:1 (103:7;, 84:90, 83:81)
შარლოტი — ჩიკაგო 1:2 (100:108, 106:98, 80:103)

დასავლეთი

სან-ანტონიო — დენვერი 3:0 (104:88, 122:96, 99:95)
ფინიქსი — პორტლენდი 3:0 (129:102, 103:94, 117:109)
იუტა — ჰიუსტონი 1:1 (102:100, 126:140)
სიეტლი — ლეიკერზი 1:2 (96:71, 82:84, 101:105)



## მუტომბო — საუკეთესო მცველი

ზედიზედ მესამე სეზონია, რაც ასოციაციის საუკეთესო მცველის ტიტული აფრიკელებს ხვდებათ. აკიმ ოლაჯუონის ორწლიანი ზეობის შემდეგ წლეულს ტიტული „დენვერ ნაგითსის" ზაირელ ცენტრ დიკემბე მუტომბოს მიაკუთვნეს.

შეგახსენებთ, რომ საუკეთესო მცველის ტიტული ენიჭება კალათბურთელს, რომელიც ამპლუის მიუხედავად, ყველაზე კარგად თამაშობს დაცვაში.

### დიკემბე მუტომბო

სიმაღლე 218 სმ, წონა 113 კგ
დაიბადა 1966 წლის 25 ივნისს კინშასაში (ზაირი)
დაამთავრა ჯორჯთაუნის უნივერსიტეტი
1991 წლის დრაფტის პირველ წრეში მეოთხე ნომრად აირჩია „დენვერმა". წლევანდელ რეგულარულ სეზონში პირველი ადგილი დაიკავა დაფარებებში, ხოლო მეორე — მოხსნებში.

# სარბიელი

## ტოტალიზატორი "CROCO"

| | ბოლო ორი მატჩის შედეგი: h - შინ, a - სტუმრად | | 1 | X | 2 | I წრე | 1993-1994 შინ/სტ | 1992-1993 შინ/სტ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **იტალია. 30-ე ტური. 7 მაისი** | | | | | | | |
| | **BARI -** | **TORINO** | 1,6 | 2,6 | 3,6 | 0-2 | -/- | -/- |
| | a 2-2 Foggia | h 1-1 Napoli | | | | | | |
| | h 3-0 Brescia | a 1-5 Milan | | | | | | |
| | **CAGLIARI -** | **PADOVA** | 1,3 | 2,8 | 5,6 | 1-2 | -/- | -/- |
| | a 0-0 Lazio | h 0-0 Roma | | | | | | |
| | h 4-2 Reggiana | a 1-0 Juventus | | | | | | |
| | **CREMONESE -** | **REGGIANA** | 1,05 | 3,5 | 12,0 | 0-2 | 1-1/0-2 | -/- |
| | a 0-0 Inter | h 0-4 Milan | | | | | | |
| | h 4-1 Genoa | a 2-4 Cagliari | | | | | | |
| | **JUVENTUS -** | **LAZIO** | 1,5 | 2,7 | 4,0 | 4-3 | 6-1/1-3 | 4-1/1-1 |
| | a 4-1 Fiorentina | h 0-0 Cagliari | | | | | | |
| | h 0-1 Padova | a 2-0 Roma | | | | | | |
| | **MILAN -** | **FOGGIA** | 1,3 | 3,0 | 5,0 | 3-1 | 2-1/1-1 | 1-0/2-2 |
| | a 4-0 Reggiana | h 2-2 Bari | | | | | | |
| | h 5-1 Torino | a 1-2 Napoli | | | | | | |
| | **NAPOLI -** | **INTER** | 1,8 | 2,5 | 3,0 | 2-0 | 0-0/0-0 | 1-2/0-0 |
| | a 1-1 Torino | h 0-0 Cremonese | | | | | | |
| | h 2-1 Foggia | a 0-3 Parma | | | | | | |
| | **PARMA -** | **GENOA** | 1,2 | 3,2 | 5,6 | 0-0 | 2-1/4-0 | 1-0/1-1 |
| | a 2-1 Brescia | h 2-1 Sampdoria | | | | | | |
| | h 3-0 Inter | a 1-4 Cremonese | | | | | | |
| | **ROMA -** | **FIORENTINA** | 1,5 | 2,5 | 4,4 | 0-1 | -/- | 1-1/1-2 |
| | a 0-0 Padova | h 1-4 Juventus | | | | | | |
| | h 0-2 Lazio | a 2-2 Sampdoria | | | | | | |
| | **SAMPDORIA -** | **BRESCIA** | 1,05 | 3,5 | 12,0 | 0-0 | -/- | 1-0/1-3 |
| | a 1-2 Genoa | h 1-2 Parma | | | | | | |
| | h 2-2 Fiorentina | a 0-3 Bari | | | | | | |
| | **ესპანეთი. 32-ე ტური. 6-7 მაისი** | | | | | | | |
| | **ESPANOL -** | **SEVILLA** | 1,8 | 2,5 | 3,0 | 0-3 | -/- | 1-1/1-1 |
| | h 2-0 Racing | h 4-2 Barcelona | | | | | | |
| | a 0-0 Sporting | a 3-0 Racing | | | | | | |
| | **RACING -** | **COMPOSTELA** | 1,5 | 2,5 | 4,4 | 1-2 | -/- | -/- |
| | a 0-2 Espanol | h 3-2 Sporting | | | | | | |
| | h 0-3 Sevilla | a 0-1 Athletic | | | | | | |
| | **SPORTING -** | **ZARAGOZA** | 2,0 | 2,5 | 2,5 | 2-3 | 0-3/0-3 | 3-1/1-1 |
| | a 2-3 Compostela | h 1-4 Athletic | | | | | | |
| | h 0-0 Espanol | a 3-0 Albacete | | | | | | |
| | **ATHLETIC -** | **ATLETICO** | 1,5 | 2,5 | 4,4 | 1-2 | 3-2/2-4 | 1-2/1-1 |
| | a 4-1 Zaragoza | h 4-0 Albacete | | | | | | |
| | h 1-0 Compostela | a 0-0 Logrones | | | | | | |
| | **DEPORTIVO -** | **BARCELONA** | 1,6 | 2,6 | 3,6 | 1-1 | 1-0/0-3 | 1-0/0-3 |
| | a 0-0 Valladolid | a 2-4 Sevilla | | | | | | |
| | h 2-2 Oviedo | h 4-1 Valladolid | | | | | | |
| | **ALBACETE -** | **VALENCIA** | 1,8 | 2,5 | 3,0 | 3-3 | 3-1/0-4 | 0-1/0-2 |
| | a 0-4 Atletico | h 3-0 Logrones | | | | | | |
| | h 0-3 Zaragoza | a 1-3 Real | | | | | | |
| | **CELTA -** | **VALLADOLID** | 1,1 | 3,2 | 8,0 | 1-1 | 1-2/0-0 | -/- |
| | a 2-2 Oviedo | h 0-0 Deportivo | | | | | | |
| | h 2-1 Sociedad | a 1-4 Barcelona | | | | | | |
| | **LOGRONES -** | **TENERIFE** | 6,0 | 4,0 | 1,1 | 0-4 | 1-2/0-2 | 2-0/1-1 |
| | a 0-3 Valencia | h 0-1 Real | | | | | | |
| | h 0-0 Atletico | a 0-3 Betis | | | | | | |
| | **BETIS -** | **OVIEDO** | 1-4 | 2,6 | 5,0 | 0-0 | -/- | -/- |
| | a 1-1 Sociedad | h 2-2 Celta | | | | | | |
| | h 3-0 Tenerife | a 2-2 Deportivo | | | | | | |
| | **REAL -** | **R. SOCIEDAD** | 1,2 | 2,8 | 8,0 | 1-1 | 0-2/0-2 | 2-0/5-1 |
| | a 1-0 Tenerife | h 1-1 Betis | | | | | | |
| | h 3-1 Valencia | a 1-2 Celta | | | | | | |
| | **გერმანია. 29-ე ტური. 5-7 მაისი** | | | | | | | |
| 05.05 | **DUISBURG -** | **MUNCHEN 1860** | 1,8 | 2,6 | 2,8 | 1-1 | -/- | -/- |
| | a 0-3 Hamburger SV | h 2-0 Borussia M | | | | | | |
| | a 0-2 B.Leverkusen | a 1-1 Freiburg | | | | | | |
| | **FREIBURG -** | **KAISERSLAUTERN** | 2,0 | 2,4 | 2,6 | 2-3 | 2-3/0-1 | -/- |
| | a 0-2 Koln | h 3-1 Bochum | | | | | | |
| | h 1-1Munchen 1860 | a 2-2 Werder | | | | | | |
| 06.05 | **DYNAMO -** | **STUTTGART** | 4,4 | 3,2 | 1,3 | 2-4 | 1-0/0-3 | 0-0/0-4 |
| | a 0-2 Borussia D | h 0-2 Bayern | | | | | | |
| | h 1-2 Eintracht | a 1-3 Karlsruher SC | | | | | | |
| | **B. LEVERKUSEN -** | **HAMBURGER SV** | 1,5 | 2,5 | 4,4 | 2-1 | 1-2/1-2 | 1-1/0-0 |
| | a 2-3 Schalke 04 | h 3-0 Duisburg | | | | | | |
| | h 2-0 Duisburg | a 1-2 Borussia M | | | | | | |
| | **KARLSRUHER SC -** | **SCHALKE 04** | 1,5 | 2,5 | 4,4 | 0-0 | 0-0/0-2 | 0-0/2-2 |
| | a 0-0 B. Uerdingen | h 3-2 B. Leverkusen | | | | | | |
| | h 3-1 Stuttgart | h 2-0 B. Uerdingen | | | | | | |
| | **BORUSSIA M -** | **KOLN** | 1,3 | 2,8 | 5,6 | 3-1 | 4-1/4-0 | 1-2/2-1 |
| | a 0-2 Munchen 1860 | h 2-0 Freiburg | | | | | | |
| | h 2-1 Hamburger SV | a 0-1 Bochum | | | | | | |
| | **BAYERN -** | **B. UERDINGEN** | 1,1 | 3,2 | 8,0 | 1-1 | -/- | 2-0/3-0 |
| | a 2-0 Stuttgart | h 0-0 Karlsruher SC | | | | | | |
| | h 2-1 Borussia D | a 0-2 Schalke 04 | | | | | | |
| | **BOCHUM -** | **EINTRACHT** | 1,6 | 2,8 | 3,2 | 1-2 | -/- | 1-0/1-4 |
| | a 1-3 Kaiserslautern | h 0-0 Werder | | | | | | |
| | h 1-0 Koln | a 2-1 Dynamo | | | | | | |
| 07.05 | **WERDER -** | **BORUSSIA D** | 1,5 | 2,5 | 4,4 | 0-2 | 4-0/2-3 | 1-0/2-2 |
| | a 0-0 Eintracht | h 2-0 Dynamo | | | | | | |
| | h 2-2 Kaiserslautern | a 1-2 Bayern | | | | | | |
| | **ინგლისი. 41-ე ტური. 6 მაისი** | | | | | | | |
| | **ARSENAL -** | **WIMBLEDON** | 1,6 | 2,8 | 3,2 | 3-1 | 1-1/3-0 | 0-1/2-3 |
| | **CRYSTAL PALACE -** | **WEST HAM** | 2,2 | 2,4 | 2,4 | 0-1 | -/- | -/- |
| | **EVERTON -** | **SOUTHAMPTON** | 1,2 | 3,0 | 6,5 | 0-2 | 1-0/2-0 | 2-1/0-0 |
| | **ASTON VILLA -** | **LIVERPOOL** | 2,0 | 2,5 | 2,5 | 2-3 | 2-1/1-2 | 4-2/2-1 |
| | **IPSWICH -** | **COVENTRY** | 4,0 | 3,0 | 1,4 | 0-2 | 0-2/0-1 | 0-0/2-2 |
| | **NOTTINGHAM -** | **MANCHESTER C** | 1,3 | 3,0 | 5,0 | 3-3 | -/- | 0-2/2-2 |
| | **LEICESTER -** | **CHELSEA** | 6,0 | 4,0 | 1,1 | 0-4 | -/- | -/- |
| | **MANCHESTER U -** | **SHEFFIELD W** | 1,1 | 3,2 | 8,0 | 0-1 | 5-0/3-2 | 2-1/3-3 |
| | **QPR -** | **TOTTENHAM** | 2,5 | 2,5 | 2,0 | 1-1 | 1-1/2-1 | 4-1/2-3 |
| | **BLACKBURN -** | **NEWCASTLE** | 1,4 | 2,7 | 4,7 | 1-1 | 1-0/1-1 | -/- |
| | **LEEDS -** | **NORWICH** | 1,2 | 3,2 | 5,6 | 1-2 | 0-4/1-2 | 0-0/2-4 |
| | **პორტუგალია. 31-ე ტური. 7 მაისი** | | | | | | | |
| | **SPORTING -** | **PORTO** | 1,6 | 2,8 | 3,2 | | | |
| | **BOAVISTA -** | **BENFICA** | 1,8 | 2,6 | 2,8 | | | |
| | **თურქეთი. 32-ე ტური. 7 მაისი** | | | | | | | |
| | **TRABZONSPOR -** | **GALATASARAY** | 1,6 | 2,8 | 3,2 | | | |

ფსონები მიიღება სასტუმრო „აჭარის" ფოიეში ყოველ სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს 13-დან 16 საათამდე

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | AS BARI | ■ | 3-0 | 0-0 | 2-0 | 2-2 | 2-1 | 4-1 | | 3-5 | 0-1 | 1-1 | 0-2 | 1-2 | 1-0 | | 0-1 | | 0-2 |
| 2 | AC BRESCIA | 1-2 | ■ | 2-3 | | 2-4 | 1-0 | 1-2 | 0-0 | 0-5 | 0-0 | | 1-3 | 1-2 | 1-0 | 0-0 | 0-1 | 1-4 | 1-1 |
| 3 | US CAGLIARI | 2-1 | 2-0 | ■ | 1-0 | 2-0 | 2-1 | 1-0 | | 1-1 | 1-1 | | | 2-0 | 4-2 | 0-1 | 1-1 | 1-0 | 3-0 |
| 4 | US CREMONESE | 0-0 | 0-0 | 2-0 | ■ | 0-0 | 1-3 | 4-1 | 2-0 | 1-0 | 0-1 | 2-0 | | 1-1 | | | 0-0 | 3-0 | 1-2 |
| 5 | AC FIORENTINA | 2-0 | 4-0 | 2-1 | 3-1 | ■ | 1-1 | 3-1 | 2-2 | [illegible] | 3-2 | 4-0 | 4-1 | 1-1 | 1-1 | 1-0 | 1-1 | | 1-4 |
| 6 | AC FOGGIA | 2-2 | 3-1 | 2-0 | 0-1 | | ■ | 2-1 | 1-1 | 1-3 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | 1-0 | [illegible] | | 0-2 | 2-0 |
| 7 | FC GENOA | 1-1 | 1-0 | 1-1 | 0-1 | 1-1 | | ■ | [illegible] | [illegible] | 2-1 | 3-3 | 2-1 | 0-0 | 3-1 | 1-0 | 1-2 | [illegible] | [illegible] |
| 8 | SAMPDORIA | 1-1 | | 5-0 | 2-1 | 2-2 | 1-1 | 3-2 | ■ | 0-3 | | 0-0 | 5-0 | 3-1 | 2-1 | 3-0 | 3-1 | 1-1 | 0-1 |
| 9 | AC MILAN | | 1-0 | 1-1 | 3-1 | 2-0 | | 1-0 | 0-0 | ■ | 1-1 | 1-1 | 1-0 | 1-1 | 2-1 | | 2-1 | 5-1 | 0-2 |
| 10 | INTER MILANO | 1-2 | 1-0 | | 0-0 | 3-1 | 3-0 | 2-0 | 2-0 | 3-1 | ■ | 0-2 | | 1-1 | 1-0 | 0-1 | 0-2 | 2-1 | 0-0 |
| 11 | SSC NAPOLI | 3-0 | 1-1 | 1-1 | 1-0 | 2-5 | 2-1 | 1-0 | 2-0 | | | ■ | 3-3 | | 1-0 | 0-0 | 3-2 | 1-1 | 0-2 |
| 12 | AC PADOVA | 0-2 | 2-0 | 2-1 | 3-2 | 0-1 | 0-0 | | 1-4 | 2-0 | 1-0 | 2-0 | ■ | 0-3 | | 0-0 | 2-0 | [illegible] | 1-2 |
| 13 | AC PARMA | | 4-0 | 2-1 | 2-0 | | 2-0 | | 3-2 | 2-3 | 3-0 | 2-0 | 1-0 | ■ | 2-1 | 1-0 | 2-0 | 2-0 | 1-3 |
| 14 | AC REGGIANA | 0-1 | | 0-0 | 2-0 | 1-1 | | 0-1 | 0-2 | 0-4 | 0-1 | 1-2 | 3-0 | 2-2 | ■ | 1-4 | 0-0 | 1-0 | 1-2 |
| 15 | AS ROMA | 2-0 | 3-0 | 1-1 | 1-1 | | 1-1 | 3-0 | 1-0 | 0-0 | 3-1 | 1-1 | 2-0 | 1-0 | 2-0 | ■ | 0-2 | 1-1 | |
| 16 | LAZIO ROMA | 1-2 | | 0-0 | 1-0 | 8-2 | 7-1 | 4-0 | | 4-0 | | 5-1 | 5-1 | 2-2 | 2-0 | 0-3 | ■ | 3-0 | 3-4 |
| 17 | AC TORINO | 2-0 | 2-0 | 3-2 | | 1-0 | 2-0 | 0-0 | 0-0 | 0-0 | 0-2 | 1-1 | 2-0 | 0-2 | | 2-2 | 2-0 | ■ | 3-2 |
| 18 | JUVENTUS TORINO | 2-0 | 2-1 | | 1-0 | 3-2 | 2-0 | 1-1 | 1-0 | 1-0 | 0-0 | 1-0 | 0-1 | | 3-1 | 3-0 | | 1-2 | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ALBACETE BALOMPIE | ■ | 1-1 | 2-2 | 1-2 | 1-3 | 1-2 | | 0-0 | 2-2 | 1-1 | 1-0 | 2-0 | 0-3 | | 3-1 | 1-1 | 2-1 | | | 1-1 |
| 2 | RCD ESPAÑOL BARCELONA | 5-1 | ■ | 0-0 | 3-1 | 2-0 | 1-1 | 1-0 | 2-0 | 2-0 | 1-2 | 4-2 | 2-0 | | | 0-0 | | 0-0 | | 3-0 | 0-0 |
| 3 | FC BARCELONA | | 3-0 | ■ | 1-0 | 4-0 | 3-1 | 1-1 | 3-0 | 4-3 | | 1-0 | 2-1 | 3-0 | 1-1 | 1-1 | 0-1 | 1-0 | 0-0 | 4-1 | |
| 4 | ATHLETIC DE BILBAO | 1-2 | 1-3 | | ■ | 1-0 | 2-0 | 0-2 | 1-0 | | 1-1 | | 2-0 | 1-0 | 0-0 | 1-0 | 0-2 | | 2-1 | 1-1 | 1-1 |
| 5 | SD COMPOSTELA | 0-0 | | 1-2 | 0-1 | ■ | 3-2 | 0-1 | 2-0 | | 1-1 | 1-1 | 2-1 | 3-2 | 0-2 | 1-1 | | | 1-1 | 1-0 | 2-0 |
| 6 | SPORTING GIJON | 3-2 | 0-0 | 2-1 | 1-1 | 1-1 | ■ | 3-1 | 2-2 | 0-2 | 1-0 | 1-1 | 2-3 | | | 1-1 | 3-0 | 1-1 | | | 0-0 |
| 7 | DEPORTIVO LA CORUÑA | 2-1 | 1-1 | | 0-0 | 1-0 | 2-1 | ■ | | 0-1 | 0-0 | 2-3 | 3-0 | 3-3 | 3-1 | | 5-1 | 4-1 | 3-1 | 4-0 | 1-2 |
| 8 | CD LOGROÑES | 1-1 | 1-1 | | 0-1 | 0-4 | 1-3 | 0-1 | ■ | 0-0 | 1-4 | | 0-1 | 0-0 | 0-4 | 0-0 | 0-2 | | 2-2 | 0-0 | |
| 9 | ATLETICO DE MADRID | 4-0 | | 2-0 | 2-1 | 1-1 | | 1-1 | 3-0 | ■ | 0-2 | 3-3 | 0-1 | | 2-1 | 0-2 | 2-2 | 3-1 | 2-4 | 6-0 | 0-2 |
| 10 | REAL MADRID CF | 0-0 | 1-0 | 5-0 | 4-0 | 1-1 | 4-0 | | 2-0 | 4-2 | ■ | 2-0 | 3-1 | 3-0 | | | 2-0 | 4-2 | 3-1 | | 4-0 |
| 11 | REAL OVIEDO | | 3-0 | 0-0 | 1-1 | 2-2 | | 2-0 | 1-0 | 1-0 | | ■ | 3-1 | 2-1 | 3-0 | 0-0 | 1-0 | 1-2 | 1-0 | 1-0 | 2-2 |
| 12 | RACING SANTANDER | 2-1 | 0-0 | 5-1 | 0-2 | | 0-0 | 1-2 | 3-0 | | 3-1 | | ■ | 0-1 | 0-0 | 0-0 | 0-3 | | 3-2 | 0-0 | 2-0 |
| 13 | REAL ZARAGOZA | 1-0 | 1-0 | 2-1 | 1-4 | | 3-2 | 1-0 | 3-0 | 3-1 | 3-2 | 2-1 | | ■ | 1-1 | 3-0 | | 2-2 | | 1-0 | 4-0 |
| 14 | REAL SOCIEDAD | 2-0 | 2-0 | 1-1 | | 1-1 | 2-2 | 1-3 | | 3-1 | 1-1 | 3-1 | | 1-2 | ■ | 1-1 | 0-0 | 5-2 | 0-2 | 3-0 | 2-3 |
| 15 | REAL BETIS SEVILLA | 4-1 | 3-1 | | 0-0 | 1-0 | 5-0 | 0-0 | 1-0 | 2-0 | 0-0 | | 2-0 | 0-1 | 0-0 | ■ | | 3-0 | 1-1 | 1-2 | |
| 16 | SEVILLA FC | 0-2 | 3-0 | 4-2 | 0-0 | 3-0 | 5-1 | | 1-0 | | 1-4 | 1-1 | 1-3 | 2-1 | 2-0 | 0-1 | ■ | 1-2 | 1-1 | 1-0 | |
| 17 | CD TENERIFE | | | 2-1 | 1-0 | 2-0 | | 1-1 | 4-0 | 1-0 | 0-1 | 1-1 | 3-0 | 2-0 | 3-0 | 1-4 | 0-0 | ■ | 1-2 | 0-0 | 3-0 |
| 18 | VALENCIA CF | 3-3 | 0-0 | 1-2 | | | 0-0 | 1-2 | 3-0 | 0-0 | 1-2 | 1-0 | | 3-0 | 4-2 | 2-1 | 0-1 | 2-1 | ■ | 3-0 | 1-0 |
| 19 | REAL VALLADOLID | 1-1 | 0-4 | 1-3 | | 2-0 | 2-0 | 0-0 | | 0-1 | 0-5 | 2-1 | 1-1 | 2-0 | 1-1 | | 0-4 | 1-4 | 2-0 | ■ | 1-1 |
| 20 | RC CELTA VIGO | 0-0 | 1-2 | 2-4 | 1-1 | 1-2 | 2-0 | | 0-1 | 1-0 | | 0-0 | 2-1 | 0-0 | 2-1 | 0-2 | 0-0 | 3-2 | 0-0 | | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | VfL BOCHUM | ■ | 1-3 | 0-2 | 2-0 | 1-0 | | 1-3 | 0-0 | 0-2 | 0-1 | 1-0 | 1-3 | 0-2 | 1-2 | 2-2 | | | 2-2 |
| 2 | SV WERDER BREMEN | 3-0 | ■ | | 1-0 | 5-1 | 2-0 | 5-1 | 1-4 | 2-2 | | 2-2 | 3-2 | 1-0 | 0-0 | 2-0 | 2-1 | 4-0 | |
| 3 | BORUSSIA DORTMUND | | 2-0 | ■ | 2-0 | 1-0 | 1-1 | 1-1 | | 2-1 | 2-1 | 2-1 | 0-3 | | 1-0 | 4-0 | 3-2 | 5-0 | 3-1 |
| 4 | 1. FC DYNAMO DRESDEN | 0-2 | 1-1 | 0-1 | ■ | 4-2 | 1-2 | 1-3 | 1-1 | 1-0 | 1-1 | 1-3 | 1-1 | 0-3 | | 1-1 | | | 1-2 |
| 5 | MSV DUISBURG | 3-1 | 0-2 | | 1-1 | ■ | 1-0 | 1-2 | 0-5 | | 0-0 | 1-3 | 0-2 | 0-2 | 0-3 | | 2-2 | 2-0 | 2-0 |
| 6 | EINTRACHT FRANKFURT | 2-1 | 0-0 | 4-1 | 2-0 | | ■ | | 2-0 | 1-3 | 1-0 | 0-0 | 2-0 | 2-1 | 2-5 | | 0-3 | 2-2 | 0-3 |
| 7 | SC FREIBURG | 1-2 | 1-3 | | 3-1 | 3-0 | 2-0 | ■ | 3-0 | | 2-1 | 4-2 | 1-1 | 1-1 | 5-1 | 1-1 | 3-0 | 2-0 | |
| 8 | HAMBURGER SV | 3-1 | 0-0 | 0-4 | 2-1 | 3-0 | | 1-2 | ■ | 0-0 | 3-1 | | 1-2 | 1-2 | 1-1 | 3-0 | 3-0 | 0-2 | 0-0 |
| 9 | 1. FC KAISERSLAUTERN | 3-1 | 1-1 | 1-0 | 3-1 | 1-0 | 1-1 | 3-2 | | ■ | 0-0 | | 1-0 | | 1-1 | 1-1 | 3-1 | 3-2 | 1-1 |
| 10 | KARLSRUHER SC | | 3-1 | 0-0 | | 4-1 | 1-1 | 2-0 | 2-0 | 3-3 | ■ | 0-0 | | 2-4 | 2-2 | 3-1 | | 3-1 | 2-1 |
| 11 | 1. FC KÖLN | 2-1 | 1-1 | 1-6 | 1-2 | | 3-0 | 2-0 | 1-1 | 0-1 | 3-4 | ■ | | 1-3 | 3-1 | 2-1 | 5-1 | 1-0 | 2-0 |
| 12 | BAYER 04 LEVERKUSEN | 1-3 | 1-2 | 2-2 | | 2-0 | 4-0 | 2-4 | | 0-1 | 0-0 | 3-1 | ■ | 3-1 | | | 2-2 | 3-1 | 1-1 |
| 13 | BORUSSIA MÖNCHENGLADBACH | 7-1 | 2-0 | 3-3 | 2-0 | 1-0 | | 1-2 | 2-1 | 4-0 | 2-2 | | 3-3 | ■ | 2-2 | 2-0 | 0-1 | | 1-0 |
| 14 | FC BAYERN MÜNCHEN | 3-1 | | 2-1 | 2-1 | 1-1 | 3-3 | 2-2 | 1-1 | 1-1 | | 2-2 | 2-1 | 3-0 | ■ | 1-0 | 2-0 | 2-2 | |
| 15 | TSV 1860 MÜNCHEN | 4-0 | 1-2 | 1-5 | 3-1 | 1-1 | 2-1 | 4-0 | | | 1-0 | | 1-1 | 2-0 | 1-3 | ■ | 0-1 | 0-2 | 1-1 |
| 16 | FC SCHALKE 04 | 3-2 | | 0-0 | 4-0 | 0-0 | 0-0 | | 0-1 | 0-1 | 0-0 | 3-1 | 3-2 | 1-1 | | 6-2 | ■ | 1-1 | 2-0 |
| 17 | VfB STUTTGART | 2-2 | | 0-0 | 4-2 | | 4-1 | | 2-1 | 2-2 | 4-0 | 2-2 | 4-2 | 2-4 | 0-2 | 1-1 | 1-1 | ■ | 3-1 |
| 18 | BAYER 05 UERDINGEN | | 1-3 | 0-2 | | 1-1 | 1-1 | 0-2 | 4-1 | 1-3 | 0-0 | 0-0 | 0-1 | | 1-1 | 1-1 | 1-1 | 4-1 | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | FC ARSENAL | ■ | 0-0 | 0-0 | 3-1 | 2-1 | 1-2 | 1-1 | 4-1 | 1-3 | 1-1 | | 3-0 | 0-0 | 2-3 | 5-1 | 1-0 | 1-3 | 0-0 | 1-1 | 1-1 | 0-1 | |
| 2 | ASTON VILLA | 0-4 | ■ | 0-1 | 3-0 | 0-0 | 1-1 | 0-0 | 2-0 | 0-0 | 4-4 | | | 1-2 | 0-2 | 1-1 | 0-2 | 2-1 | 1-1 | 1-1 | 1-0 | 0-2 | 7-1 |
| 3 | BLACKBURN ROVERS | 3-1 | 3-1 | ■ | 2-1 | 4-0 | 2-1 | 3-0 | 4-1 | 1-1 | 3-0 | 3-2 | 2-3 | 2-4 | | 0-0 | 3-0 | 4-0 | 3-1 | 3-2 | 2-0 | 4-2 | 2-1 |
| 4 | FC CHELSEA | | 1-0 | 1-2 | ■ | 2-2 | 0-0 | 0-1 | 2-0 | 0-3 | 4-0 | 0-0 | 3-0 | 2-3 | 1-1 | 2-0 | 0-2 | 1-0 | 1-1 | | 1-1 | 1-2 | 1-1 |
| 5 | COVENTRY CITY | 0-1 | 0-1 | 1-1 | 2-2 | ■ | 1-4 | | 2-0 | 2-1 | 4-2 | 1-1 | 1-0 | | 0-0 | 1-0 | 0-0 | 0-1 | 2-0 | 1-3 | 0-4 | 2-0 | 1-1 |
| 6 | CRYSTAL PALACE | 0-3 | 0-0 | 0-1 | 0-1 | 0-2 | ■ | 1-0 | 3-0 | 1-2 | 2-0 | 1-6 | 2-1 | 1-1 | 0-1 | 0-1 | 1-2 | 0-0 | 2--1 | 0-0 | 1-1 | | 0-0 |
| 7 | FC EVERTON | 1-1 | 2-2 | 1-2 | | 0-2 | 3-1 | ■ | 4-1 | 3-0 | 1-1 | 2-0 | 1-1 | 1-0 | 2-0 | 2-1 | 1-2 | 2-2 | 1-4 | | 0-0 | 1-0 | 0-0 |
| 8 | IPSWICH TOWN | 0-2 | 0-1 | 1-3 | 2-2 | | 0-2 | | ■ | 2-0 | 4-1 | 1-3 | 1-2 | 3-2 | 0-2 | 1-2 | 0-1 | 0-1 | 1-2 | 2-1 | 1-3 | 1-1 | 2-2 |
| 9 | LEEDS UNITED | 1-0 | 1-0 | 1-1 | 2-3 | 3-0 | | 1-0 | 4-0 | ■ | 2-1 | 0-2 | 2-0 | 2-1 | 0-0 | | 1-0 | 4-0 | 0-1 | 0-0 | 1-1 | [illegible] | 3-1 |
| 10 | LEICESTER CITY | 2-1 | 1-1 | 0-0 | | 2-2 | 0-1 | 2-2 | 2-0 | 1-3 | ■ | 1-2 | 0-1 | 0-4 | 1-3 | 1-0 | 2-4 | 1-1 | 0-1 | 4-3 | 3-1 | 1-2 | 3-4 |
| 11 | FC LIVERPOOL | 3-0 | 3-2 | | 3-1 | 2-3 | 0-0 | 0-0 | 0-1 | 0-1 | 2-0 | ■ | 2-0 | 2-0 | 2-0 | 4-0 | 1-0 | 1-1 | 4-1 | 3-1 | 1-1 | 0-0 | 3-0 |
| 12 | MANCHESTER CITY | 1-2 | 2-2 | 1-3 | 1-2 | 0-0 | 1-1 | 4-0 | 2-0 | 0-0 | 0-1 | 2-1 | ■ | 0-3 | 0-0 | 2-0 | 3-3 | | 3-2 | 3-3 | 5-2 | 3-0 | 2-0 |
| 13 | MANCHESTER UNITED | 3-0 | 1-0 | 1-0 | 0-0 | 2-0 | 3-0 | 2-0 | 9-0 | 0-0 | 1-1 | 2-0 | 5-0 | ■ | 2-0 | 1-0 | 1-2 | 2-0 | | | 0-0 | 1-0 | 3-0 |
| 14 | NEWCASTLE UNITED | 1-0 | 3-1 | 1-1 | 4-2 | 4-0 | | 2-0 | 1-1 | 1-2 | 3-1 | 1-1 | 0-0 | 1-1 | ■ | 3-0 | 2-1 | 2-1 | 2-1 | 5-1 | | 2-0 | 2-1 |
| 15 | NORWICH CITY | 0-0 | | 2-1 | 3-0 | 2-2 | 0-0 | 0-0 | 3-0 | 2-1 | 2-1 | 1-2 | 1-1 | 0-2 | 2-1 | ■ | | 4-2 | 0-0 | 2-2 | 0-2 | 1-0 | 1-2 |
| 16 | NOTTINGHAM FOREST | 2-2 | 1-2 | 0-2 | 0-1 | 2-0 | 1-0 | 2-1 | 4-1 | 3-0 | 1-0 | 1-1 | | 1-1 | 0-0 | 1-0 | ■ | 2-2 | 4-1 | 3-0 | 2-2 | 1-1 | 3-1 |
| 17 | QUEEN'S PARK RANGERS | 3-1 | 2-0 | 0-1 | 1-0 | 2-2 | 0-1 | 2-3 | 1-2 | 3-2 | 2-0 | 2-1 | 1-2 | 2-3 | 3-0 | 2-0 | 1-1 | ■ | 3-2 | 2-2 | | 2-1 | 0-1 |
| 18 | SHEFFIELD WEDNESDAY | 3-1 | 1-2 | 0-1 | 1-1 | 5-1 | 1-0 | 0-0 | | 1-1 | 1-0 | 1-2 | 1-1 | 1-0 | 0-0 | 0-0 | 1-7 | 0-2 | ■ | 1-1 | 3-4 | 1-0 | 0-1 |
| 19 | FC SOUTHAMPTON | 1-0 | 2-1 | 1-1 | 0-1 | 0-0 | | 2-0 | 3-1 | 1-3 | | 0-2 | 2-2 | 2-2 | 3-1 | 1-1 | 1-1 | 2-1 | 0-0 | ■ | 4-3 | 1-1 | 2-3 |
| 20 | TOTTENHAM HOTSPUR | 1-0 | 3-4 | 3-1 | 0-0 | | 0-0 | 2-1 | 3-0 | | 1-0 | 0-0 | 2-1 | 0-1 | 4-2 | 1-0 | 1-4 | 1-1 | 3-1 | 1-2 | ■ | 3-1 | 1-2 |
| 21 | WEST HAM UNITED | 0-2 | 1-0 | 2-0 | 1-2 | 0-1 | 1-0 | 2-2 | 1-1 | 0-0 | 1-0 | | 3-0 | | 1-3 | 2-2 | 3-1 | | 0-2 | 2-0 | 1-2 | ■ | 3-0 |
| 22 | FC WIMBLEDON | 1-3 | 4-3 | 0-3 | 1-1 | 2-0 | 2-0 | 2-1 | 1-1 | 0-0 | 2-1 | | 2-0 | 0-1 | 3-2 | 1-0 | | 1-3 | 0-1 | 0-2 | 1-2 | 1-0 | ■ |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბრძოლო მესამედა დარჩა



ვახტანგ მეიფარიანი

მესამე წელია, საქართველოს ხელბურთის ფედერაცია შინაური ჩემპიონატის პრინციპული მატჩების სამსაჯოდ მეზობელი სომხეთიდან იწვევს საერთაშორისო კატეგორიის არბიტრებს. შარშან ერთ-ერთი ტურზე ბაქოელებსაც უხმეს, მაგრამ მათი კვალიფიკაცია წინამორბედებისას აშკარად ჩამოუვარდებოდა. ამიტომ წლეულს ისევ სერგეი გევორქიანსა და ალექსანდრე არევშატიანს მიმართეს. ამათაც, ნერვების დასაწყვეტი სამი-ოთხი თამაშის შეუნიშნავი მსაჯობით მასპინძლებისთვის იმედი არ გაუწბილებიათ.

მესამე წრეში თითობურთიანი სხვაობით დასრულებული „ამირან" — „მამულისა" და სტუ — „მიმის" შეხვედრები ჩვენებურებს რომ ემსაჯათ, ეს მატჩები იქნებ სხვა შედეგით ან სხვანაირად დასრულებულიყო — ნებისმიერ შემთხვევაში ერთიორი მწარე სიტყვა და ანგარიშსწორებით დამუქრება შინაურებს არ ასცდებოდათ, სტუმრებს კი, მადლობა ღმერთს, ვერაფერს უბედავენ.

სამტრედიელებთან უმთავრესი მატჩის მანძილზე ხუთბურთიანი პასივის არათუ მხოლოდ „ამოქაჩვით", არამედ ბოლო წამებზე მოპოვებული გამარჯვებით ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდმა ქულათა იმხელა მარაგი შეიქმნა, რომ პირველობის დამთავრებამდე სამი წრით ადრე უკვე ცხადია, არც წელს „ასცდება" ჩემპიონობა. ტექნიკოსებმა 14 თამაშიდან ყველა მოიგეს, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სამჯერ („მიმისთან", „მამულთან" და „ამირანთან" შეხვედრებში) კრიტიკულ სიტუაციაში იმყოფებოდნენ და მხოლოდ ბოლო, მე-60 წუთზე შეძლეს გამარჯვების მოპოვება.

სტუ-ს კარგად ორგანიზებული და ყველა რგოლში თანაბრად დაკომპლექტებული გუნდის უზარმაზარი უპირატესობა არცაა გასაკვირი —თითქმის მთელი ძირითადი შემადგენლობა ხომ ნაკრებშიც მთავარ როლს თამაშობს და საერთაშორისო შეხვედრების გამოცდილებაც აქვს. ძველებურად ბრწყინავს მთავარი ბომბარდირი, ტანმაღალი ბექა ორჯონიკიძე. მეტოქეთა მცველები ვერაფერს უხერხებენ მაღალ ნახტომში შესრულებულ მის ტყორცნებს. ბექას ანგარიშზე ყველაზე მეტი — 106 გოლია. როგორც ყოველთვის, სტაბილურად თამაშობენ გუნდის კაპიტანი ვახტანგ მეიფარიანი და გიორგი თურქია. აშკარად მოუმატა ირაკლი კეკელიძემაც — მისი თამაში უფრო დახვეწილი და შედეგიანიც გახდა.

წინა ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირს ალეკო ბოყოჩაძეს რამდენიმე თამაში გაუცდა და ნელ-ნელა იბრუნებს ჩვეულ ფორმას. მყარად დამკვიდრდნენ ძირითად შემადგენლობაში 19 წლის ფეხმარდი „ფრთა" გია ქობელაშვილი და 23 წლის მეკარე როლანდ ერაძე, რომელსაც ჯერ კიდევ 1990 წელს უთამაშია თბილისის „ქარიშხალას" შემადგენლობაში საკავშირო პირველობაზე და მას მერე მხოლოდ ახლაღა, ოთხი წლის შემდეგ დაუბრუნდა ხელბურთს.

მშვენიერ შთაბეჭდილებას ტოვებს სამტრედიელთა თამაში. ის, რომ „მიმი" კონკურენციას უწევს ლიდერს და თითქმის უკვე განაღდებული აქვს მეორე ადგილი და ევროპულ სარბიელზე გასვლა, სულაც არაა გასაკვირი, რადგან გუნდი ძალზე გააძლიერეს მიწვეულმა ხელბურთელებმა — ირაკლი კენჭაძემ, ბიძინა მინდელმა, მიხეილ კერესელიძემ, ანდრო ანდრიაშვილმა და ტიტე კალანდაძემ. განახლებულ კლუბში სწორედ ისინი ქმნიან ამინდს, ამასთან, უნდა აღინიშნოს ადგილობრივთა — ალიკო კიკნაძის, კახა კვირკველიას, ოთარ წულეისკირისა და ვლადიმერ კიკაჩეიშვილის საიმედო თამაშიც. ბოლო ტურში კერესელიძემ ერთ მატჩში გატანილი გოლების რეკორდი დაამყარა — „ამირანს" 19 ბურთი შეუგდო. უნიკალურ შედეგს მიაღწია მინდელმაც — მის მიერ ნატყორცნი 15-ვე პენალტი მიზანს მოხვდა.

ჩემპიონატის „საჩინო ადგილებიდან" საბრძოლო მესამედა დარჩა და ამას „მამული" და „ამირანი" ეშურებიან. გათამაშების დასაწყისთან შედარებით „მამულს" შემადგენლობა გაუნახევრდა. სხვადასხვა მიზეზით გუნდში აღარ არიან კალანდაძე, კახა ღლონტი, ზაზა გაბრიჩიძე... ის კი არა, ხანდახან მეორე მეკარე დაჩი ჯაფარიძე ცვლის ხოლმე მოედნის მოთამაშეებს. მამულელებმა სამი თამაში წააგეს და მხოლოდ „ოქროს ვერძისა" და „მართვეს" დამარცხება მოახერხეს დიდი გაჭირვებით. კიდევ ერთი ასეთი უხეირო ტური და გუნდი მესამე ადგილსაც დაკარგავს. უკეთეს დღეში ვერც „ამირანია", თუმცა შემადგენლობის მხრივ შედარებით ნაკლები პრობლემები აქვს. სხვა საკითხია, სადღეისოდ რამდენად თანაბრადაა დაკომპლექტებული გუნდი. ბოლო შეხვედრებში შედეგიანობით გამოირჩეოდა 30 წლის გიგანტი (202 სმ) კობა თორდია. წინა ტურში გატანილ 40 გოლს მან ოთხ თამაშში 42 დაუმატა და ბომბარდირთა სიაშიც მეხუთე ადგილამდე აიწაცვლა.

ფოთის „ოქროს ვერძი" და „მართვე" დაწინაურებულ ოთხეულს საგრძნობლად ჩამორჩებიან და ამათი მთავარი მიზანიც ერთმანეთში ბრძოლა იქნება ბოლო ადგილისგან გასარიდებლად. საამისო შანსი მეტი აქვთ ფოთელებს, რომელთა ლიდერიც ზვიად შათირიშვილი ამ ტურში გატანილი ყველაზე მეტი — 55 გოლის წყალობით საგრძნობლად დაწინაურდა ბომბარდირთა დავაში. 25 წლის ფორვარდს მშვენიერი ნახტომი და უძლიერესი, თუმცა საკმაოდ ერთფეროვანი ტყორცნა აქვს. ზვიადს ტრავმის გამო სამი თვე არ უვარჯიშია და ვერც ახლა იყო მთლად ჯანზე. იმედია, შემდგომში უფრო სერიოზულად მოეკიდება საქმესაც, საკუთარ ჯანმრთელობასაც და მაჩვენებელიც ბევრად უკეთესი ექნება.

წინა ორი წრის მატჩებთან შედარებით, ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის სპეციალიზებული სპორტსკოლის გუნდმა „მართვემ" აშკარად უმატა თამაშს და მშვენიერი შთაბეჭდილებაც დატოვა „ოქროს ვერძთან", „მამულთან" და „ამირანთან" შეხვედრებში.

ტურის ბოლოს მწვრთნელთა გამოკითხვა ჩავატარეთ. საუკეთეო მეკარედ დასახელდა ირაკლი კენჭაძე, მცველად — ბიძინა მინდელი, შეტევის მოთამაშედ — ბექა ორჯონიკიძე. მწვრთნელთა მიერ შედგენილი უძლიერესთა შვიდეული კი ასე გამოიყურება: კენჭაძე, მინდელი (ორივე „მიმი"), თურქია, მეიფარიანი, ორჯონიკიძე (სამივე სტუ), კერესელიძე („მიმი") და თითბერია („ოქროს ვერძი"). აღსანიშნავია, რომ ყველა, თორმეტივე სპეციალისტის შვიდეულებში უცვლელად ფიგურირებდა მხოლოდ ერთი, ვახტანგ მეიფარიანი.

გია ახალაძე

29 აპრილი. მიმი — მართვე 28:22, ამირანი — მამული 29:28, სტუ — ოქროს ვერძი 33:33.
30 აპრილი. მართვე — ოქროს ვერძი 33:33, მიმი — ამირანი 37:28, სტუ — მამული 35:33.
1 მაისი. მიმი — ოქროს ვერძი 32:66, მამული — მართვე 33:31, სტუ — ამირანი 37:28.

სამი წრის შემდეგ

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტუ | 14 | 14 | - | - | 434:321 | 28 |
| მიმი | 14 | 10 | 1 | 3 | 376:381 | 21 |
| მამული | 13 | 6 | 1 | 6 | 383:402 | 13 |
| ამირანი | 13 | 6 | - | 7 | 420:324 | 12 |
| ოქროს ვერძი | 10 | 1 | 1 | 8 | 278:324 | 3 |
| მართვე | 14 | - | 1 | 13 | 317:456 | 1 |

ბომბარდირები (გოლი, თამაში, საშუალოდ):

| | გოლი | თამაში | საშუალოდ |
|---|---|---|---|
| ზვიად შათირიშვილი (ოქროს ვერძი) | 100 | 10 | 10,0 |
| ტიტე კალანდაძე (მიმი) | 71 | 8 | 8,9 |
| ზაზა გაბრიჩიძე (მამული) | 58 | 7 | 8,3 |
| ბექა ორჯონიკიძე (სტუ) | 106 | 13 | 8,1 |
| კობა თორდია (ამირანი) | 82 | 11 | 7,5 |
| მერაბ უშვერიძე (მამული) | 59 | 8 | 7,4 |
| მიხო კერესელიძე (მიმი) | 97 | 14 | 6,9 |
| გიგლა თითბერია (ოქროს ვერძი) | 46 | 8 | 5,8 |
| ელიზბარ არსენაშვილი (მამული) | 63 | 11 | 5,7 |
| ალეკო ბოყოჩაძე (სტუ) | 59 | 11 | 5,4 |



## კვლავაც ესპანური ტრიუმფი

კლუბთა შორის ევროპის ოთხივე თასის ფინალში ესპანური კლუბები გავიდნენ და შარშანდელის მსგავსად, სამს დაეპატრონნენ.

ჩემპიონთა თასის ფინალში ქალაქ ბიდაშოას „ელგორაგამ" პირველივე მატჩის შემდეგ პრაქტიკულად გაინაღდა საერთო გამარჯვება, როცა შინ ათი ბურთით სძლია ხორვატიის ჩემპიონს „ბადელს" — 30:20. ესპანელები ზაგრებში მინიმალური სხვაობით დამარცხდნენ — 26:27

თასების თასი შარშანდელმა მფლობელმა „ბარსელონამ" ამჯერადაც არავის დაანება. კატალონელებმაც პირველივე თამაშში მოითავეს საქმე, როცა დანიის „გოგ გუდმეს" სტუმრად შვიდბურთიანი სხვაობით აჯობეს — 31:24. „ბარსამ" შინ ოთხბურთიანი გამარჯვება იკმარა — 26:22.

ფედერაციის თასის ფინალში ესპანეთის „გრანოლერსს" მეტოქედ ადრე ჩვენთვის კარგად ნაცნობი ჩელიაბინსკის „პოლიოტი" ჰყავდა. ურალელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მეტოქეს და ორჯერვე საპატიო სხვაობით დამარცხდნენ — 24:26 და 21:23.

ერთადერთი კლუბი, ვინც ესპანელებს ოთხივე თასის მოპოვებაში შეუშალა ხელი, გერმანიის „ნიდერვიურცბახია". „კადაგუასთან" პირველი მატჩის სამბურთიანი პასივი (26:29) გერმანელებმა შინ პირველივე ტაიმში გაქვითეს — 15:12, შესვენების შემდეგ გადამწყვეტ უპირატესობასაც მიაღწიეს — 32:26 და ქალაქთა თასსაც დაეუფლნენ.

ზეგ ისლანდიაში იწყება ვაჟთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც 4 ქვეჯგუფში განაწილებული 24 ნაკრები გამოვა.

„A" ქვეჯგუფი: უნგრეთი, კორეა, შვეიცარია, აშშ, ტუნისი, ისლანდია.

„B": რუსეთი (მსოფლიოს ჩემპიონი), კუბა, ჩეხეთი, სლოვენია, ხორვატია, მაროკო.

„C": საფრანგეთი (ვიცე-ჩემპიონი), გერმანია, რუმინეთი, დანია, იაპონია, ალჟირი.

„D": შვედეთი (ბრინჯაოს პრიზიორი), ესპანეთი, ბრაზილია, ბულგარეთი, ეგვიპტე, ქუვეითი.

ჯგუფური ტურნირების შემდეგ ოთხ-ოთხი გუნდი ოლიმპიური სისტემით გააგრძელებს ბრძოლას. ფინალური შეხვედრა 21 მაისს შედგება.

ბედმა ჩვენი სამსახურების მეზობლობა ინება, ასე რომ, ბატონ გელა ნიორაძეს ახლაც ისე ხშირად ვხვდებით, როგორც ადრე მოჭიდავეთა შეჯიბრებებზე. ეს ახალგაზრდა, 34 წლის ენერგიული კაცი ვაჭრობისა და მატერიალური მომარაგების მინისტრის მოადგილეა. წარსულში კარგ ძიუდოისტს ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონატი მოუგია. პოდა, რა გასაკვირია, ინტერვიუზე რომ მივაკითხეთ.

# ოღონდ რამე ვარგო



გელა ნიორაძე

**— თქვენს სპორტულ ცხოვრებაზე გვიამბეთ...**

— ვარჯიში 1974 წელს დავიწყე „დინამოში" გმირო ხაჩიძესთან. მაშინ 13 წლისა ვიყავი და ჯერ სამბოში ვვარჯიშობდი. 1978 და 79 წლებში თანატოლებს შორის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გავხდი. 1980 წელს ძიუდოზე გადავედი და საკავშირო პირველობაზე მესამე ადგილზე გავედი. შემდეგ მოვიგე რამდენიმე საერთაშორისო ტურნირი, საკავშირო სტუდენტური თამაშები და 1981 წლის ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე წამიყვანეს. სან-მარინოში საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში კონტინენტის ჩემპიონი გავხდი. პირად შეჯიბრებაში ვერცხლს დავჯერდი, ოღონდ ფინალი არ მიჭიდავია — ტრავმირებული ვიყავი.

**— როგორც ვიცი, თქვენი კარიერა მაშინ დასრულდა...**

— ევროპის ჩემპიონატის შემდეგ აქტიურ სპორტს ჩამოვშორდი. ზუსტად იმ დროს დავამთავრე პოლიტექნიკური ინსტიტუტის სატრანსპორტო ფაკულტეტი მექანიკის სპეციალობით და მუშაობაც დავიწყე. ვიცი, მკითხავთ, სპორტიდან ადრე რატომ წახვედიო და ამიტომ დაგასწრებთ: ჩვენ ბევრი დედ-მამიშვილები ვიყავით, უმამოდ, მოხუცებული დედის ანაბარა ვიზრდებოდით. სამსახური რომ არ დამეწყო, ოჯახს ძალზე გაუჭირდებოდა.

**— სპორტს სულ ჩამოშორდით?**

— არა, ასეთი რამ წარმოუდგენლად მეჩვენება. ყოველდღე ვვარჯიშობ — საათნახევარს ვუთმობ გამაჯანსაღებელ ვარჯიშებს და სპორტულ თამაშებს. ხანდახან ტატამზეც შევდივარ, ახალგაზრდებს წავეხმარები ხოლმე, რაც ვიცი, შეძლებისდაგვარად ვასწავლი, გამოცდილებას ვუზიარებ.

**— თქვენ ძიუდოს კლუბის „რაინდების" პრეზიდენტიც ხართ...**

— დიახ, ეს კლუბი საქართველოს ნაკრების მწვრთნელის ბიძინა მაზიაშვილისა და ჩემი თაოსნობით შეიქმნა. შარშან ჩვენმა ერთმა მოჭიდავემ ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატში გაიმარჯვა, ორიც პრიზიორი გახდა. „რაინდების" წევრმა გიორგი რევაზიშვილმა კი ასევე ახალგაზრდებში მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო. ნიჭიერი ბიჭები გვყავს. 3-4 მათგანი ატლანტის ოლიმპიადაზე გამოსვლის კანდიდატია.

კლუბი თავის თავს, მეტ-ნაკლებად ინახავს. მოჭიდავეებსა და მწვრთნელებს დავუნიშნეთ ხელფასი. შეძლებისდაგვარად ვუწყობთ შეკრებებს. მოვაწყვეთ კიმონოების სამკერვალო საამქრო და ფალავნები სამოსის მხრივ უზრუნველყოფილები არიან. მეტის საშუალება რომ გვქონდეს — ვგულისხმობ სათანადო დაფინანსებას, მეტ შეკრებაზე და შეჯიბრებაზე გაგზავნას და სხვას, ჩვენს ძიუდოისტებს გაცილებით დიდი პერსპექტივა ექნებათ. ერთი სიტყვით, არ გვიჭირს, მაგრამ დახმარება მაინც გვჭირდება.

**— ვინ უნდა დაგეხმაროთ, სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურები?**

— სახელმწიფოს უჭირს, ბიუჯეტი ცუდ მდგომარეობაშია, ხალხი მშიერია და ასეთ დროს კლუბების დახმარებაზე ლაპარაკი უხერხულიცაა. ისევ კერძო პირები, ბიზნესმენები უნდა წაეხმარონ ამ ხალხს. სახელმწიფომ კი, ესე იგი, სპორტდეპარტამენტმა ნაკრებ გუნდებს უნდა მიხედოს. ბოლოსდაბოლოს, ატლანტაში ყველაზე მეტი მედალი, წესით, მოჭიდავეებმა და კერძოდ, ძიუდოისტებმა უნდა მოიპოვონ. ახლა მომზადდა სამთავრობო დადგენილება, რომლის მიხედვითაც, ვინც სპორტთან თანამშრომლობს, გადასახადებისგან თავისუფლდება. ჩემი აზრით, ეს საჭირო და აუცილებელი დადგენილებაა. ვინც სპორტს შეეწევა, შეღავათიც უნდა გაეწიოს. ეს ყველამ უნდა გავითვალისწინოთ. ის ქვეყანა კვდება, სადაც სპორტი და კულტურა არ ვითარდება. თუ სპორტსა და კულტურას არ მივხედავთ, მაშინ ჩვენი საზოგადოების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება არავითარი პერსპექტივა არ ექნება.

**— სანამ მინისტრის მოადგილე გახდებოდით, რას საქმიანობდით?**

— ინსტიტუტის შემდეგ განაწილებით წავედი რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში. ვიმუშავე კვების კომბინატში მთავარ ინჟინრად, მერე გადამიყვანეს „ცენტრმეტალურგმშენის" ტრესტის მმართველის მოადგილედ. შემდეგ — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კომერციულ დირექტორად. შემდეგ დამნიშნეს მეორადი ლითონების გაერთიანების გენერალურ დირექტორად, ახლა მინისტრის მოადგილე ვარ.

**— სპორტიდან გამოყოლილი კავშირ-ურთიერთობები თუ გეხმარებათ საქმეში?**

— მეხმარება და ძალიანაც. მე გახლავართ „საქართველოს მოჭიდავეთა ფონდის" გამგეობის თავმჯდომარე. ურთიერთობა გვაქვს ჩვენ კოლეგებთან ყოფილი საბჭოთა კავშირის „საჭიდაო რეგიონებში" — ჩრდილოეთ ოსეთში, ყაბარდო-ბალყარეთში, დაღესტანში, მოსკოვში და კიდევ ბევრგან, ამ ხალხთან ერთად შექმნილი გვაქვს ერთობლივი საწარმოები. მათი მეშვეობით ჩვენი ქვეყნისთვის ბევრ რამეს ვაკეთებთ.

**— პროდუქტების მხრივ საქართველოში გაჭირვებაა. ამაზე კი თქვენი სისტემა აგებს პასუხს...**

— დღეს რომ ხალხს უჭირს, ამას ყველა ვხედავთ და ვგრძნობთ. ჩვენ, სამინისტრო, ნორმირებულ საკვებს ვარიგებთ, ვწვალობთ პურზე, შაქარზე, კარაქზე. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. სამწუხაროდ, ყველაფერი ჩვენზე როდია დამოკიდებული. აფხაზეთისა და ახლა ჩეჩნეთის ომებმა ჩაკეტეს საქართველოში პროდუქტებისა და ნედლეულის შემოტანისთვის ხელსაყრელი გზები. ფაქტიურად, სნგ-ს ქვეყნებიდან საქართველოში შემოსასვლელი ერთადერთი ერთადერთი გზა დაგვრჩა: რუსეთი-ყაზახეთი-უზბეკეთი-თურქმენეთი-აზერბაიჯანი. ეს ძვირი გზაა, მოსახლეობისთვის ხარფიანი არ არის.

**— სხვა ქვეყნებთან არ ცდილობთ კავშირის დამყარებას?**

— კავშირი უამრავ ქვეყანასთან გვაქვს. დღესდღეისობით ძირითადად თურქეთთან, ირანთან და ბულგარეთთან ვთანამშრომლობთ, რადგან ტვირთის ტრანსპორტირების საშუალება მხოლოდ იქიდან გვაქვს. საქონლის თვითღირებულებას გზის ხარჯიც რომ ემატება, მოსახლეობა სახარბიელოს ვერაფერს ნახულობს. სხვა გზა არა გვაქვს. მერწმუნეთ, სნგ-ს და კერძოდ, რუსეთის ფედერაციის ბაზარზე ხელსაყრელი ბაზარი ჩვენთვის არ არსებობს. იქ ყველაფერი ხარისხიანია, თანაც გაცილებით იაფი. იქ ნიადაგი მომზადებული გვაქვს, ვაწარმოებთ სამუშაოებს. მთავარია, გზები გაიხსნას და საქართველოში შემოტანა არ გაჭირდეს. სამინისტრო ისეთი პროფესიონალებით არის დაკომპლექტებული, რომ ამ საკითხის მოგვარებისთანავე ჩვენში პროდუქტის პრობლემა აღარ იარსებებს.

**— სამუშაო დღეს რა განწყობით იწყებთ?**

— სახელმწიფოს მეთაურმა ამასწინათ ბრძანა: დღეს არ არის იმის დრო, ვიღაცას ქედმაღლურად ვუყუროთ. ოღონდ ჩვენი ქვეყანა გადარჩეს და თუ საჭიროა, ვიღაცას მუხლზე ჩოქვითაც უნდა შევეხვეწოთო. აბსოლუტურად ვეთანხმები ამ სიტყვებს, პირადად ჩემი დევიზი ასეთია: ოღონდ საქართველოს რამე ვარგო, ოღონდ რამე გავაკეთო და ჩემს თავს მსხვერპლად გავიღებ. უკან არაფერზე დავიხევ, ოღონდ ჩვენი ეკონომიკა გაჯანსაღდეს და მოსახლეობას ოდნავ მაინც შეუმსუბუქდეს მდგომარეობა.

მერაბ რატიშვილი



ლევან ჩიქვინიძე რომ ალღოიანი მობურთალია, სინის პირველი გათამაშების დროს გია ახალაძის მიერ გადაღებულ ამ ფოტოზეც კარგად ჩანს. შეხედეთ, რა ცბიერი სახით მიუყვება ბურთიან ირაკლი ლეჟავას

# სინს რომ დაამშვენებდა

სინის პირველი გათამაშებიდან ოთხი დღის თავზე პირველი ჯგუფის პირველობის პირველი ტურის პირველი ორი თამაშიც გაიმართა, რომელთაგან პირველზე — „თბილისის" მიერ „აიეტის" იოლ ძლევაზე ლაპარაკი არცა ღირს, იმდენად სჯობდნენ ქვეყნის შარშანდელი ჩემპიონები პირველი ჯგუფის ახალბედებს.

სამშაბათის მეორე თამაში, წვიმაში რომ დაიწყო, ხოლო ბინდ-ბუნდში დასრულდა, წესითა და რიგით სინისთვის უნდა ყოფილიყო, მაგრამ გამართლდა „სარბიელისეული" ვარაუდი — „ყოჩებმა" განაცხადეს, რომ სინის დებულებას კარგად ვერ იცნობენ, ამიტომ მის მოპოვებას მომავალში თუ შეეცდებიან, ახლა კი „გუმარს" ჩვეულებრივ, კალენდარულ თამაშს გაუმართავენ.

არადა, ყველასათვის გასაოცრად, „ყოჩები" — „გუმარის" თამაში ისეთი გამოვიდა, რომ სინის პირველი გათამაშება აშკარად დაჩრდილა. მართალია, „გუმარი" თავიდანვე დაწინაურდა, მაგრამ რაკილა ეს თამაშ-თამაშ გააკეთა, მეტოქე ვერ დათრგუნა. საწყისი წარუმატებლობების შემდეგ „ყოჩები" ნელ-ნელა მოვიდნენ თამაშის იშტაზე. მათ ყველა შანსი გამოიყენეს — ტეფნაძემ სამი საჯარიმოთი თავისიანები 9:6 დააწინაურა, მანამდე კი, როცა ანგარიში 0:3 იყო, მოედანზე შებაკუნდა... თხა, რომელიც დამსწრეებმა ხუმრობით „ყოჩების" ქომაგად მიიჩნიეს.

„გუმარმა" წონასწორობა უმალ აღადგინა, მეორე ნახევრის დაწყებისთანავე კი მაჩიტიძის თარსი გოლით — 40 მეტრიდან დარტყმული ბურთი ხარიხას დაეცა და კარში ისე გავიდა — კიდეც დაწინაურდა. იქვე მაჩიტიძეს ბევრად იოლი პოზიციიდან ფეხი მოეცარა, მერე კი ერთობ აქტიურ ჩიქვინიძეს (13) შეცვლაზე შესული მარჯანიშვილი (12) და ძაგნელი (15) შეემატნენ და „გუმარიც" გადავიდა ხანგრძლივ, ნახევარსაათიან შტურმზე, თამაშის ბოლომდე რომ გასტანა.

„ყოჩებმა", რომლებიც წილს დიდებულად არიან განვრთნილი და ვეტერანი ჭეიშვილის (9) მიერ კარგადაც იყვნენ დარაზმული, თავი ავსტრალიელი „ვოლაბებივით" დაიცვეს. „გუმარი" ხან მორკინალებით უტევდა, ხან ბურთს უკანა ხაზზე ათამაშებდა, ხშირად აბრაგანებსაც ხმარობდა, მაგრამ მეორე ნახევრის მე-14 წუთიდან ვიდრე 41-ემდე ანგარიში საყაიმო, 12:12 იყო — ტეფნაძეს მშვენიერი არეკნი გაეტანა, მაჩიტიძეს კი კიდევ თითო იოლი და ძნელი საჯარიმო გასცუდებოდა — შესაბამისად, 24-ე და 33-ე წუთებზე.

39-ე წუთზე ჭეიშვილმა ხერხი იხმარა — მარჯვენა ფრთაზე დაარტყა ერთობ მაღალი აბრაგანი, რომლის შემდეგაც ბურთი „ყოჩებს" დარჩათ. მათ ორჯერ მწვავედ შეუტიეს ლელოს, მაგრამ ზედახორაში დაჯარიმდნენ. აი, აქ კი თავი იჩინა „გუმარის" უპირატესმა კლასმა და სათამაშო ალღომ: მათ თავისი ლელოდან გაათამაშეს საჯარიმო, ბურთი მარჯვენა ფრთაზე გადაუგდეს „ბაია" იურინს (14), რომელმაც გაქუსლა და მეტოქეთა ორი წყება უკან მოიტოვა. იურინი მოედნის შუა ხაზს რომ გასცდა, იგრძნო, რომ „ყოჩების" აღევნებული სამეული ეწეოდა, და ბურთი ფეხით გააგორა მოედნის შუაგულისკენ, სადაც მას უკვე ჩიქვინიძემ მიჰკრა ფეხი, წინ გაიგდო, მეტოქეებს სირბილში აჯობა, ბურთს „ყოჩების" ლელოდან ათი მეტრის მოშორებით დაეწია, ზედ დაახტა (!), ხელში აიღო და წამოსწრებულ ბუგიანიშვილს დიდოსტატურად გადაუგდო, ამან კი წმინდა ინტუიციურ თამაშში მეტოქეები ფინტებით დააბნია და ამაღელვებელი ლელო გაიტანა.

არანაკლებ დრამატული იყო ოთხშაბათს, რუსთავის გარეუბანში გამართული „აზოტი" — „აიას" თამაშის ბოლო წუთებიც. აქაც გამოცდილებამ გაჭრა გადამწყვეტ მომენტში: მეორე ნახევარში „აიას" 17-ქულიანი უპირატესობა ხელიდან ის-ის იყო გამოსცლოდა, ცენტრიდან თამაშის განახლებისას 10 ნომრად გადასულმა უმცროსმა ძაგნიძემ ბურთი ფეხით რომ გადაიკიდა და ისე მარჯვედ შებოჭა მისი მომლოდინე მეტოქე, რომ მასპინძლები წოლელა თამაშისთვის დაჯარიმდნენ. აქ რუსთაველები კარში დარტყმას ელოდნენ, მაგრამ ემზარმა იაზრა, უმალ გაათამაშა ბურთი და ჩუბინიძეს ლელო გაატანინა.

ერთობ საგულისხმო იყო გუნდების შემადგენლობები. დუგლას კავთელაშვილს „მოურავის" — ბესო ლილუაშვილის გარდა, ლამის იყო, მთელი ძველი „აია" შეკრიბა: შარშან დრო და დრო მოთამაშე ძველ, მაგრამ მაინც ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე აიელებს შემატებოდნენ ტურძელაძე (2), გეგუჩაძე (12), იობიძე (9), ძოწენიძე (14), რომელთა თამაშიც ამერში ბარემ სამი წელია, არ უნახავთ.

სამაგიეროდ, რუსთავის გუნდი განახლებულა და თვისობრივადაც შეცვლილა: თბილისური დაჯგუფების „გუმარში" გადმოსვლისა და თან ცაბაძე-მთიულიშვილის წამოყოლების შემდეგ „აზოტი" ერთიანად რუსთაველებითაა დაკომპლექტებული. გურამ მოდებაძეს რუსთავშიც ნათელი კვალი დაუტოვებია — გუნდი მშვენივრად ბურთაობს, მეტადრე შუა მინდვრის სამეული: გოგიშვილი (10) — აფიცაური (12) — ზ. ბერიშვილი (13), მცველად გადაყვანილი ჯიმშელაძე კი იერიშებში მწვავედ ერთვება.

„აია", ეტყობა, ვერა ვარჯიშობს. სანამ სტუმრები ყოჩაღად იყვნენ, გამოცდილების ხარჯზე გვარიანადაც იგებდნენ. დაიწყო მეორე ნახევარი და დაიწყო საშინელებაც: ქუთათურები „აზოტის" მწვრთნელების — კაკაბაძისა და ბებიაშვილის მოედანზე გამოჩენით შეგულიანებულსა და აბურთავებულ მეტოქეებს ძლივს უმკლავდებოდნენ, ბურთსაც ერთთავად ჩამორჩებოდნენ, ზედიზედ რჩებოდნენ თამაშგარე, ხოლო მსაჯი ამისთვის რომ აჯარიმებდათ, ჩხუბობდნენ. ათზე მეტი მცირ-მცირე ინციდენტის მერე „აია" მას შემდეგლა დაშოშმინდა, რაც დუგლას „პეტროვიჩმა" კიდიდან მოსწრებულად შეუძახა: „თავად დამშვიდდებით თუ ქალების გუნდად გადაგაკეთოთ". მანამდე ერთი პირობა თამაში სამი წუთითაც კი შეწყდა, მოედანზე კომისრის შესვლაც გახდა საჭირო, საზოგადოებამ კი ერთი ფრიად საგულისხმო მოსაზრებაც მოისმინა, „აიას" მავანმა აღშფოთებულმა მოთამაშემ საჯაროდ რომ გამოთქვა: „ბეჟეს (ნუგზარ ძაგნიძეს) მთელი მსოფლიო მორებული (მოვლილი) აქვს და აგენი (თბილისელი მსაჯები) თამაშს ასწავლიანო". არადა, ამერში აქამდე მიამიტურად ჰგონებიათ, რომ მსაჯი თამაშის წესების დასაცავადაა მოედანზე და არა იმისთვის, მოთამაშეები რომ გაანათლოს.

ამ დავა-კამათ-ყაყან-გაწევა-გამოწევაში „აზოტმა" ორი ლელო გაიტანა, მერე კი საჯარიმოთი ანგარიშის გაყაიმება იკმარა — ვერ გარისკა ბურთის უცებ გათამაშება. სამი წუთის შემდეგ ე. ძაგნიძემ სხვაგვარად განსაჯა, რამაც მისიანებს კიდეც გაამარჯვებინა.

ზაზა ფხაკაძე

საქართველოს პირველობა
I ტური

პირველი ჯგუფი

ვაკე. 2.V. წვიმა

**თბილისი 41 (10) — აიეტი 3 (3)**
მსაჯი ლევან მგელაძე (43' + 40")
თბილისი — 7ლ: №11 ლიპარტელიანი (25'), 13 ალანია (38', 1") 9 ქავთარაძე (5"), 1 ცქიტიშვილი (16"), 15 გეგელაშვილი (21"), 14* წეველიძე (35"); 3გ: გეგელაშვილი (5"), ლიპარტელიანი (21"), წეველიძე (35")
აიეტი — ს: 15 შვანგირაძე (32')

**ყოჩები 12 (9) — გუმარი 19 (9)**
მსაჯი გოჩა აბაშიძე (40' + 42")
ყოჩები — 3ს: ტეფნაძე (19', 23', 34'); ა: ტეფნაძე (14")
გუმარი — ლ: 11 ბუგიანიშვილი (41"); გ: 9 მოდებაძე; 4ს: მოდებაძე (7', 36'), 10 მაჩიტიძე (11', 4")

ქყონდიდლის დასახლება. 3.V. დარი

**აზოტი 20 (3) — აია 27 (20)**
მსაჯი პაატა ნარიმანაშვილი (43' + 44")
აზოტი — 2ლ: 14 ლ. ბერიშვილი (20", 26"); 2გ: 15 ჯიმშელაძე; 2ს: ჯიმშელაძე (18', 35")
აია — 3ლ: 6 გოგისვანიძე (33') 9 იობიძე (42'), 11* ჩუბინიძე (38"); 3გ: 10 ნ. ძაგნიძე (33', 42'), 15-10* ე. ძაგნიძე (38"); 2ს: ნ. ძაგნიძე (24', 30')

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 1 | 1 | 0 | 0 | 41:3 | 7-0 | 2 |
| აია | 1 | 1 | 0 | 0 | 27:20 | 3-2 | 2 |
| გუმარი | 1 | 1 | 0 | 0 | 19:12 | 1-0 | 2 |
| აზოტი | 1 | 0 | 0 | 1 | 20:27 | 2-3 | 0 |
| ყოჩები | 1 | 0 | 0 | 1 | 12:19 | 0-1 | 0 |
| აიეტი | 1 | 0 | 0 | 1 | 3:41 | 0-7 | 0 |

მეორე ჯგუფი

27.IV: ლელო — დინამო გადაიდო ლელოს მიზეზით, ხოლო გელათი — უნივერსიტეტი — გელათის მიზეზით
28.IV: აკადემია 25 (13) (4ლ, გ, ს) — ყოჩები-II 19 (5) (3ლ, 2გ)

# თავისუფლება მამო ვოლდეს!

ეთიოპი მამო ვოლდე დიდი სპორტსმენი იყო: ოთხი ოლიმპიადის მონაწილეს 1968 წელს, მეხიკოში ჯერ 10 ათას მეტრზე დაუჭერია მეორე ადგილი, მერე კი უახლოესი მდევრისათვის სამი წუთი უჯობნია და მარათონიც მოუგია. ოთხი წლის შემდეგ უკვე მიუნხენში, 40 წლის ვოლდეს მარათონში ბრინჯაოს მედალი რგებია.

ოთხშაბათს აწ უკვე 63 წლის მამო ისევ გაიხსენა მსოფლიო მედიამ. საქმე ისაა, რომ „ამნესთი ინთერნეშენალის" ცნობით, ბებერი მძლეოსანი აგერ უკვე სამი წელია ადის-აბების ციხეში ყოფილა გამომწყვდეული, თან ისე, რომ დამტუსაღებლები ვერც ბრალდებას უყენებენ და ვერც ასამართლებენ, თუმცა მედია კი იუწყება, რომ მამოს ბრეჟნევის ძმაკაცის — მენგისტუ ჰაილე მარიამის აწ უკვე დამხობილ პრო-კომუნისტურ რეჟიმთან თანამშრომლობა და მის მოწინააღმდეგეთა წამება ბრალდება.

პოლიტპატიმართა მოსარჩლე საერთაშორისო ორგანიზაციას ვოლდეს ამბავი მიუწერია როგორც სამარანჩისთვის (სოკ), ასევე — ნებიოლოსათვის (იააფ) და სთხოვს, ეთიოპიის ამჟამინდელ პოლიტიკურ ლიდერებს ალალ-მართალ მამო ვოლდეს შეწყალებისაკენ მოუწოდეთო.

# უნივერსალი ლოლანი კოკო

32 წლის სამოელი ლოლანი კოკო მრავალმხრივი სპორტსმენია. 1982 წელს ბრიტანეთის თანამეგობრობის თამაშებში 100 მეტრზე ურბენია, მერე კი მსოფლიოში უფრო მორაგბედ იცნობდნენ: 1987 წელს „სამხრეთი ზღისრეთის ბარბაროსების" შემადგენლობაში მეკობრეულ ტურნეზე მაშინ ყადაღადადებულ სამხრეთ აფრიკასაც კი სწვევია, რისთვისაც დისკვალიფიკაცია მისცეს, 1991 წელს კი სამოას ნაკრებში გარემარბად მოთამაშე კოკომ რაგბის მსოფლიო თასის მეოთხედფინალშიც კი გააღწია. შარშან დეკემბერში ლოლანიმ რაგბს უგანა და ლიგაში გადავიდა, რისი წყალობითაც წელს ავსტრალიის „ვინფილდის თასზე" თამაშობს, შემოდგომაზე კი ლიგის რაგბის მსოფლიო თასზეც ითამაშებს. ახლახან გაცხადდა კოკოს კიდევ ერთი გატაცება — ფეხბურთი: ლოლანის უკაპიტნია სამოას ნაკრებისათვის, რომელსაც ახალ რეგიონურ შეჯიბრებაში — პოლინეზიის ჩემპიონატში უასპარეზია. ძნელი სათქმელია, კოკო რა დონის ფეხბურთელია, მის გუნდს კი 0:7 წაუგია ჩემპიონ ტაჰიტისთან, ვისაც მესამე (!) შემადგენლობით უთამაშია.





# რუსები ისევ გააგდეს

A ჯგუფი

საფრანგეთი — გერმანია 4:0, რუსეთი — იტალია 4:2, გერმანია — იტალია 1:2, შვეიცარია — კანადა 3:5, კანადა — საფრანგეთი 1:4, რუსეთი — შვეიცარია 8:0, საფრანგეთი — რუსეთი 1:3, კანადა — გერმანია 5:2, იტალია — შვეიცარია 3:2, გერმანია — რუსეთი 3:6, შვეიცარია — საფრანგეთი 2:3, კანადა — იტალია 2:2, გერმანია — შვეიცარია 5:3, რუსეთი — კანადა 5:4, იტალია — საფრანგეთი 5:2

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 5 | 0 | 0 | 26-10 | 10 |
| იტალია | 3 | 1 | 1 | 14-11 | 7 |
| საფრანგეთი | 3 | 0 | 2 | 14-11 | 6 |
| კანადა | 2 | 1 | 2 | 17-16 | 5 |
| გერმანია | 1 | 0 | 4 | 11-20 | 2 |
| შვეიცარია | 0 | 0 | 5 | 10-24 | 0 |

რუსებმა ყველა თამაში კი მოიგეს, მაგრამ გაჭირვებით: იტალიასთან 58-ე წუთამდე 2:2 იყო, გერმანიასთან კი მეორე პერიოდში 0:2-ს აგებდნენ. კანადამ კი... ის დრო, როცა საფრანგეთის ნაკრების მოგებ კანადელებს ავტობუსის ნებისმიერ გაჩერებაზე შეარჩევდი, წასულა.

B ჯგუფი

შვედეთი — ნორვეგია 5:0, ფინეთი — ჩეხეთი 0:3, ავსტრია — აშშ 2:5, აშშ — ნორვეგია 2:1, შვედეთი — ფინეთი 3:6, ჩეხეთი — ავსტრია 5:2, ნორვეგია — ფინეთი 2:5, ჩეხეთი — აშშ 2:4, ავსტრია — შვედეთი 0:5, აშშ — შვედეთი 2:2, ფინეთი — ავსტრია 7:2, ჩეხეთი — ნორვეგია 3:1, აშშ — ფინეთი 4:4, შვედეთი — ჩეხეთი 2:1, ნორვეგია — ავსტრია 5:3

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 3 | 2 | 0 | 17-11 | 8 |
| ფინეთი | 3 | 1 | 1 | 22-14 | 7 |
| შვედეთი | 3 | 1 | 1 | 17- 9 | 7 |
| ჩეხეთი | 3 | 0 | 2 | 14- 9 | 6 |
| ნორვეგია | 1 | 0 | 4 | 9-18 | 2 |
| ავსტრია | 0 | 0 | 5 | 9-27 | 0 |

ამერიკამ მოყვარულებითაც კარგად ითამაშა, მაგრამ ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატზე ნიგერიის ნაკრების საქციელი გაიმეორა და მეოთხედფინალში კანადელები შეიხვედრა. ჯგუფის საუკეთესო მატჩი შვედეთი — ფინეთი იყო. მასპინძლები მესამე პერიოდში 3:1 იგებდნენ, მაგრამ 3:6 წააგეს.

მეოთხედფინალები

### შვედეთი 7:0 იტალია

იტალიელებმა მთელი ძალები ამ ეტაპზე გასვლას შეალიეს და სამშაბათს ძლივსღა დაციგურაობდნენ, კარში კი საერთოდ არ დაურტყამთ, თან უხეშობას მიყვეს ხელი — იმ დროს, როცა მათ კარში მეხუთე გოლი გავიდა, ერთბაშად 4 იტალიელი საჯარიმო სკამზე იჯდა. მასპინძელთაგან თავი ტომი შიოდინმა, სტეფან ნილსონმა, ანდრეას დაკელმა (2), თომას ფორსლუნდმა, ფრედრიკ სტილმანმა და სტეფან ორნსკოგმა გამოიჩინეს.

### ფინეთი 5:0 საფრანგეთი

ფინელებმა თავისი ადგილი მიუჩინეს ფრანგებს და მათს წარმოშობით ფინელ მეკარე ილონენს, თუმცა პირველი პერიოდი 0:0 დამთავრდა. მეორეში დარტყმების რაოდენობა 17:2 იყო — ტიმო იუტილამ, ესა კესკინენმა და იანე ნიინიმაამ სამი გოლიც შეაგდეს. ბოლო პერიოდში ამას ტერო ლეჰტერამ და იერე ლეჰტინენმა კიდევ ორი დაუმატეს.

### ჩეხეთი 2:0 რუსეთი

შარშანდელივით, ჯგუფში წარმატებული გამოსვლის შემდეგ რუსები მეოთხედფინალშივე გავარდნენ (მაშინ აშშ-სთან 1:3). პირველ პერიოდში ირჟი კუჩერამ ცხრიანში დაარტყა. მერე რუსთა მეკარე ჩერვიაკოვი კარგა ხანი მედგრად იდგა, მაგრამ მესამე პერიოდში შეცდომა დაუშვა და ბორის მიხაილოვის გუნდიც სამშობლოში გაემგზავრა.

### კანადა 4:1 აშშ

ევროპის კლუბებიდან შეკრებილ კანადელებს ალბათ გაახსენდათ, რომ ჩემპიონები არიან და მეზობლებს მხოლოდ ერთხელ; 3:0-ზე გაატანინეს შაიბა.

დღეს, ნახევარფინალებში შვედეთი შეხვდება კანადას, ფინეთი კი — ჩეხეთს.

## აქეთური, იქითური

დასრულდა! 17 წლის შემდეგ ავსტრალიის კრიკეტის ნაკრებმა დაიბრუნა „ფრენკ ვორელ თროფი", ამ ქვეყნისა და ვესტ-ინდოეთის ტესტ-სერიის მოგებულს რომ ერგება. [illegible] ვადამდე — ოთხ დღეში დასრულდა სტუმართა არნახული გამარჯვებით: ავსტრალიამ ერთ შესვლაში მოაგროვა 531, რაც 53 გარბენით მეტია ვესტ-ინდოეთის ორი შესვლის ჯამზე (265 და 213). მატჩისა და სერიის საუკეთ[illegible] მოთამაშედ „კენგურუთა" ტაფელ[illegible] სთივ ვორი სცნეს. კინგსტონში მან 200 გარბენი შეასრულა. გამარჯვების შემდეგ სტუმართა კაპიტანმა მარკ ტეილორმა განაცხადა, ახლა კი მსოფლიოს ჩემპიონები ვართო ტესტ-კრიკეტში. ეს გარკვეულწილად მართალია, ვინაიდან ვესტ-ინდოეთს გუშინწინდელამდე სერია არ წაეგო შინ 22, საერთოდ კი 15 წლის განმავლობაში.

*

ორშაბათს კრივის საერთაშორისო ფედერაციის (იბფ) 11 ექსპერტი ნახავს ფორმენ — შულცის გახმაურებული შერკინების ვიდეოფირს და თუ მინიმუმ 6 მათგანი დაასკვნის, რომ მსაჯებმა ბებერ ჯორჯს დაუმსახურებლად გამარჯვებინეს, იბფ მატჩის ხელახლად გამართვას მოითხოვს.

*

აფროსანთა „ამერიკის თასის" მეტრასტეთა კომიტეტმა თასის ამერიკელ დამცველს — დენის კონორს ნება დართო, ახალზელანდიელი პიტერ ბლეიქის „თიმ ნიუ-ზილენდს" მეორე ამერიკელისაგან — ქევინ მაჰონისაგან ნათხოვარი იახტით — „იანგ ამერიკით" შეეჯიბროს. კომიტეტმა ამავე დროს მოდიფიკაციების ბოლო ვადად 4 მაისი დაადგინა. შეჯიბრი ხვალ იწყება და მანამ გაგრძელდება, სანამ ერთ-ერთი მეტოქე ხუთ რბოლას არ მოიგებს.

*

წინა კვირას მონტე-კარლოს ტურნირის ფინალში ავსტრიელ მუსტერთან წაგების შემდეგ კვლავ მარცხი შეემთხვა გერმანელ ბორის ბეკერს, ვინც მიუნხენის შეჯიბრების ორგანიზატორებს პირველ ნომრად განეთესათ. ბეკერს პირველსავე წრეში, ორშაბათს რომ [illegible]რთა, 5:7, 6:2, 6:2 მოუგო გერმანელმა დრიკმანმა. მაშინვე გავარდა მეორე ნომერიც — უკრაინელი მედვედევი, ვისაც 4:6, 6:4, 6:2 აჯობა იტალიელმა ფურლანმა.

*

ამერიკაში კეტბურთის სეზონის გახსნიდან ერთი კვირის თავზე სტადიონებს, ამერიკულად „ბოლ-პარკები" რომ ჰქვიათ, დაუბრუნდნენ გაფიცული მსაჯებიც. მათი მოთხოვნები დაუკმაყოფილებიათ — უახლოესი ხუთი წლისათვის ერთი მესამედით მოუმატებიათ გასამრჯელო.


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
გია ახალაძე
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
ზურაბ მექველია
მერაბ რატიშვილი
მამუკა ჩიხლაძე
(ტექნიკური რედაქტორი)

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი-79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29